140
2001 1-2
1-2
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული 2001



კესანეს ჯადოსნური ზღაპრები ◆ ბიზნესმენი, რომელიც ადრე სკოლის დირექტორი იყო ◆ საგარეჯოდან ავსტრიამდე ◆ ნატვრისთვალი რომ მქონდეს ◆ კომიქსი ◆ ტესტი თინეიჯერებისთვის ◆ ვიქტორინა „ჭკუის კოლოფებისთვის."

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოიწერეთ,
# იყიდეთ,
# იკითხეთ
# თქვენი ჟურნალი
# „ნაკადული“



# ნაკადული

## საყმაწვილო ჟურნალი
## 2001 წ. №1-2
## გამოდის 1926 წლიდან

140
2001

## ნომრის შინაარსი

№ 1-4, 6-9

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ ---- 2
კესანეს ჯადოსნური ზღაპრები (პრეზიდენტის სტიპენდიატი) ---- 3
საგარეჯოდან ავსტრიამდე ---- 5
ბიზნესმენი, რომელიც ადრე სკოლის დირექტორი იყო ---- 7
ნიკო ფიროსმანაშვილზე ყრმათათვის (რევაზ ინანიშვილი) ---- 9
„ოდოშხერი“ (მოსწავლეთა შემოქმედება) ---- 12
გიორგი ნიკოლაძე ---- 14
რასაც მხოლოდ დღიურს გაანდობდი ---- 15
ნატვრისთვალი რომ მქონდეს ---- 16
ვინ როგორ ბუდეს იშენებს (ბუნების კარი) ---- 18
საშობაო დღესასწაული კლუბში „ფლორო“ ---- 19
რა არის ნამდვილი სიყვარული (ტესტი თინეიჯერებისთვის) ---- 22
რატომ ვამბობთ ასე? სიტყვის კონა ---- 23
ო, ეს დაბნეული ამპერი (სახელმძღვანელო) ---- 24
ვიქტორინა „ჭკუისკოლოფებისთვის“ ---- 25
რისთვის სჭირდება ლომს მიხაკი? ---- 26
ჩვენი ენციკლოპედია ---- 27
კომიქსი ---- 28
სიცილის გაკვეთილი ---- 31
სტეფანე მღებრიშვილი ---- 32

რედაქტორი მანანა გელაშვილი
მისამართი 380096, თბილისი, კოსტავას ქ. № 14
ტელეფონი: 93-31-81, 93-18-84
ფასი სახელშეკრულებო
ჟურნალი რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოში.



# ფაქტი

## „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო



### გურამ რჩეულიშვილის მუზეუმი სკოლაში

გურამ რჩეულიშვილის სახელობის თბილისის 30-ე სკოლას 135 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებული ზეიმის ჩარჩოებში სკოლაში გაიხსნა გურამ რჩეულიშვილის მუზეუმი. მწერალმა სწორედ ეს სკოლა დაამთავრა 1952 წელს. მუზეუმის შექმნისთვის საჭირო ხარჯები ***TBC*** – ცენტრის პრეზიდენტმა, ამავე სკოლის კურსდამთავრებულმა მამუკა ხაზარაძემ გაიღო, ხოლო დიდებული მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ნივთები გურამ რჩეულიშვილის ნათესავებმა და მეგობრებმა აჩუქეს მუზეუმს.

### ქართულს უკრაინაშიც ისწავლიან

უკრაინის მთავრობა თანახმაა კიევისა და ქვეყნის სხვა რეგიონებში ქართული სკოლები და გიმნაზიები დააფუძნოს. დღესდღეობით კიევის ეროვნული უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე არსებულ ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე 15 უკრაინელი სტუდენტი სწავლობს. მათგან ორ წარჩინებულ სტუდენტს დაენიშნა უკრაინაში საქართველოს საელჩოს სტიპენდია 25 დოლარის ოდენობით.

### «ნიღაბის» «ბოშები»

აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში გაიმართა კულტურის ცენტრ „ნიღაბის" მიერ მომზადებულ სპექტაკლ „ბოშების" პრემიერა. „ნიღაბში", რომელიც ხუთი წელია არსებობს, მხოლოდ 6-14 წლის ბავშვები არიან გაერთიანებული. მათი შესრულებით მაყურებელმა უკვე ნახა „ჭინჭრაქა", „ნაცარქექია", „მაისის ღამე". კულტურის ცენტრს გიორგი ბახტაძე ხელმძღვანელობს.

### ქართული სკოლა საბერძნეთში

საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე, ქალაქ აგიოს ნიკოლაოსში გაიხსნა ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შემსწავლელი კლასი, რომელშიც აქ მცხოვრები 15 ქართველი ბავშვი ივლის. ამ ქალაქში კიდევ 30 ქართველი ბავშვი ცხოვრობს, რომლებიც მალე მიაღწევენ სასკოლო ასაკს და მაშინ ქართული კლასები გაფართოვდება და ჩვენს პატარა თანამემამულეებს, რომლებიც ბერძნულ გარემოში იზრდებიან, საშუალება ექნებათ, გაეცნონ ქართული კულტურის ისტორიას, არ დაივიწყონ მშობლიური ენა. მათი მასწავლებელი იქნება ნატო გოგოლაშვილი, რომელიც ხუთი წელია კრეტაზე ცხოვრობს. შენობა, რომელიც სკოლას ქალაქის სასულიერო ცენტრმა გადასცა, მამა გიორგიმ აკურთხა.

### გამოფენა ოლიმპიურ თემაზე

ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში მოეწყო გამოფენა თემაზე „ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ", რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისელი, ზუგდიდელი, ოზურგეთელი, ონელი და წყნეთში მოსახლე ლტოლვილი ბავშვები. გამოფენის 16 მონაწილეს გადაეცა სპეციალური პრიზები, საუკეთესო ნამუშევრები კი შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში ამავე თემაზე მოწყობილ გამოფენაზე გაიგზავნა. შემდგომში ეს ნამუშევრები საერთაშორისო ოლიმპიურ მუზეუმში დაიკავებს ადგილს.

### ვარსკვლავები «ვარსკვლავებს»

მუსიკალური კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში შედგა 2000 წლის უმაღლესი პრიზის „ოქროს ვარსკვლავის" მფლობელთა დაჯილდოება. ვარსკვლავები გადაეცათ თინიკო ჭანტურიას, სანდრო ივანოვსკის, ქეთი თოფურიას, მაკა შუკაკიძეს, სოფო კოროშელიძეს, დავით ალადაშვილს, თამუნა ბოჭორიშვილს, ანა მეგრელიშვილს, სალომე წვერაძეს.

# პრეზიდენტის სტიპენდიატი



# კესანეს ჯადოსნური ზღაპრები

„...ლამაზ, ნამიან კორდზე ამოსულიყო უნაზესი, პატარა, მშვენიერზე მშვენიერი ყვავილი კესანე. ისეთი ლამაზი ცისფერი კაბა ეცვა, რომ ფირუზს მოგაგონებდათ, გული კი ოქროსფერი ჰქონდა, ატლასივით სიფრიფანა ღერო და ფოთლები ამშვენებდა. ეს ყვავილი ყველაზე ლამაზი იყო...“

ეს სიტყვები კესანეს ეკუთვნის, პატარა კესანე გვეტაძეს, რომელმაც გაგვაოცა და მოგვხიბლა. მასთან მისულები უცებ აღმოვჩნდით ჯადოსნურ ზღაპარში, რომლის ავტორი ეს პატარა გოგონაა. იგი იმხელა სამყაროს ბატონ-პატრონია, თქვენ რომ ვერც წარმოიდგენთ და ჯერ ვერც თავად კესანე აცნობიერებს. ამ ცხრა წლის გოგონას შესაძლებლობები ყოველგვარ ზღვარს სცილდება – ლექსები, ჩანახატები, ზღაპრები, ნახატები...

2/974

მისი ნახატები... ეს ერთი დიდი, საუცხოო ფერთა სამყაროა. უფრო მეტად მუქ ფერებში ხატავს, მაგრამ მიმზიდველად და ლამაზად. „მზისა და მთვარის ხელმწიფე“ – ნახატი და ამასთანავე ზღაპარიც, „პეპი გრძელიწინდა“, „კომაარი კომიკო“, „მეთევზე ბიჭი და მისი მეგობრები“ და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი ნახატი თუ ზღაპარი, ნოველა... ის ხომ უკვე მეორედ წარადგინეს გინესის რეკორდებზე ზღაპრებისა და ჩანახატების სიმრავლის გამო.

კესანემ ცა დახატა საუცხოო ფერებში და ასეთი სიტყვებიც მიუძღვნა:

„ცას ავხედე, დავინახე, რომ ცას მარტო ლურჯი ფერი კი არ ეკრა, ყვითელი, წითელი და, ამავე დროს, შავიც. ყველას ჰგონია, რომ შავი მარტო მწუხარების ფერია. ეს ასე არ არის. შავი ფერი ყველას უხდება. აი, ცაზე შავი ღრუბლები რომ გამოჩნდება, სწორედ მაშინ წვიმს, ცივა, თოვს. ცა დიდი მხატვარიცაა, მას მზე აკრავს, მთვარე ფარანია. ღამე სწორედ ის ანათებს, დღე ფარანს არ ხმარობენ. უმზეოდ არავინ და არაფერი იქნებოდა. ეს ყველამ იცის. მზე კეთილია, ის ადამიანს ათბობს, მთვარეც კეთილია; ცას უხარია, რომ ამდენი ფერები აქვს: წითელი, ყვითელი. იგი ზომიერად ფერიანია, უსულო ლამაზმანია. ყოველთვის ლამაზია, როგორი ლამაზია, როდესაც აისი დგება, დაისიც ისეთივე მომხიბლავია, როგორც აისი. ვარსკვლავებიც მიმზიდველები არიან, სხედან თავიანთ პაწაწუნა ტახტზე და გვინათებენ, გვინათებენ სამყაროს მზესთან, მთვარესთან ერთად. თქვენ არ გეგონოთ, ცა




მარტო ცისფერია, იგი ათასი ფერისაგან შედგება. ამიტომ, როცა ცის დახატვა მოგინდებათ, შეხედეთ ცას, დაინახავთ, რომ მე მართალი ვარ, ცას ბევრი, ძალიან ბევრი ფერი აქვს“.

ეს სიტყვები 8 წლის კესანეს ეკუთვნის. ვცადოთ და მისი თვალებით შევხედოთ ცას, ან უბრალოდ მის ნახატს დავხედოთ, მაშინ მართლაც ვნახავთ ლურჯ ფერს მიღმა მიმალულ უამრავ ფერს, ცას რომ ამშვენებენ და „უსულო ლამაზმანად“ აქცევენ.

კესანეს საყვარელი პოეტი გალაკტიონია. ძალიან უყვარს მისი ლექსები, განსაკუთრებით კი – „ქარი ქრის“, ასევე უყვარს ალექსანდრე დიუმა-მამა, შარლოტა ბრონტე. ახლახან წაიკითხა შექსპირის „რიჩარდ მესამე“. უკვე წაკითხული აქვს „ოტელო“ და ამბობს, მე „ოტელოს“ „ოტელოს“ კი არა, დამარცხებულ სიყვარულს დავარქმევდიო.

– კესანე, ვინ არის შენი საყვარელი მსახიობი?

– რიჩარდ გირი, ჯულია ორმონდი, ჯულია რობერტსი.

– ვის გინდა ჰგავდე სილამაზით?

– რომი შნაიდერს, მერლინ მონროს.

კესანეს ძალიან უყვარს ჩარლი ჩაპლინი. შენ, კესანიკო, მონროზე და რომი შნაიდერზე უფრო ლამაზი და მიმზიდველი ხარ, შენ არ გჭირდება ვინმეს ჰგავდე, უბრალოდ, იყავი ყოველთვის ის, ვინც ხარ.

– მარტოობა გიყვარს?

– ზოგჯერ. ყველაფერს მეგობრებთან ყოფნა და თამაში მირჩევნია.

– ბევრი მეგობარი გყავს?

– არც ისე. ჩემი მეგობრები არიან ქეთი კალაძე, სოფო სოლოღაშვილი, პაპუნა ქამიერაშვილი, მარი ლეონიძე.

– კესანე, როდის იწყებ ხატვას?

– როდესაც რაღაცაზე ვღელავ.

კესანე ერთი წლის და ოთხი თვის იყო, პირველად რომ დახატა და მას შემდეგ გაუთავებლად ხატავს და მისი ყოველი მომდევნო ნახატი აღრინდელზე ლამაზი და დახვეწილია. ხატვა არავის უსწავლებია, თვითონ ისწავლა, უფრო სწორად ეს მისი ბუნებრივი ნიჭია. მომხიბვლელია მისი ნახატი „მარტომ მოვიწყინე“, რომელიც თავის საყვარელ დეიდას – აგიკა-მარიკას მიუძღვნა.

წერა ექვსი წლის ასაკში დაიწყო. მისი პირველი ზღაპარია „ჯადოსნური ბალერინა, სოკო და გოგონა“. ამას მოჰყვა უამრავი ლამაზი ზღაპარი: „ჭიამაია“, „ბაჭია ციცი და დათუჩა ბანჯგალა“, „გასეირნება ტყეში“, „მშიშარა ბაჭია“, „ცანგალა და ფერულა“, „მაკუპის ქვეყანაში“ და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი...

უკვე გამოიცა კესანეს პირველი წიგნი: „მზე, ყვავილები და გოგონა“, რომლის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

„კესანე გვეტაძე... ამ მშვენიე-



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რი, მართლაც რომ ჯადოსნური სამყაროს მშვენიერი შემქმნელი, პატარა ზღაპრული ფერია, რომელსაც ჯერ ცხრა წელი არ შესრულებია.

კესანემ თითქოს თავისივე ზღაპრებიდან გადმოაბიჯა და ჩვენ უსაზღვრო სითბო, სიკეთის გამარჯვების რწმენა და საოცარი სულიერი სილამაზე მოგვიტანა...

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი კეთილი, ლამაზი, ჭკვიანი ფერიები..."

კესანეს წიგნს თარგმნიან თუ-



რქულ და სპარსულ ენებზე, მისი ერთი ნახატი საფრანგეთში გაიყიდა, იგი პრეზიდენტის ორგზის სტიპენდიატია. კესანე კინოსტუდიასთან არსებულ საქველმოქმედო ფონდ „მრწამსთან" დაარსებული ჟურნალ „დებიუტის" საბავშვო გვერდის რედაქტორია და აქვს თავისი რუბრიკა — „სტუმრად კესანესთან".

მასზე უამრავი რამის თქმა შეიძლება. ის უკვე პიროვნებაა, ჩამოყალიბებული, საკუთარი აზრის მქონე პიროვნება, და ამასთანავე პატარა, საოცარი ბავშვი, რომელსაც ძალიან უყვარს მეგობრები, თანატოლები და თამაში.

კესანე გვეტაძის აზრით, „სიყვარული არის ყველაზე დიდი ოცნება, ვარსკვლავებით განათებული, ხალასი. თმახუჭუჭა ბიჭის და ლამაზი გოგოს ენება.

სიყვარული არის სიხარულის მზე, ოქროს და ბროლის მთვარე. რეალობა, რომელიც ნაზი სიოსავით დაჰქრის და ეფინება დედამიწას".

ეს სიტყვებიც კესანეს ეკუთვნის. „სიყვარულის კალენდარი", რომელიც შრომის გაკვეთილზე დაწერა და ისე ლამაზად განსაზღვრა სიყვარული, რომ ვერც რაიმეს დაამატებ და ვერც მოაკლებ.

„უსიყვარულოდ სიცოცხლის ფასი არ არსებობს. სიყვარული ფასდაუდებელი ოქროა, რომელიც კი არ ბრწყინავს, არამედ ხოტბას ასხამს დედამიწას. სიყვარული ფასდაუდებელი ხმალია, რომელიც კი არ მოგკლავს ან დაგჭრის, არამედ ბოროტს ან კეთილს თავის გზას ასწავლის. სიყვარული მარტო იმაში კი არ ჩანს, რომ ადამიანს ეუბნება — მიყვარხარ, არამედ იმაში, რომ შენი საქმით უნდა დააფასო სიყვარული. მარტო რომანი არაა სიყვარული, სიყვარული არის ანგელოზების მელოდია, რომელიც კი არ იმღერება, არამედ უკრავენ. თუ არ დაუკარი ან სიყვარული არ ალიარე, ისე არ შეიძლება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სიყვარული ყველაზე დიდი „საგანია", რომელსაც დოლარით ვერ იყიდი.

თუ შენი საქმით ვერ დააფასე სიყვარული, არა უშავს, შენ ხომ იცი, რომ სიყვარულის შვილი ხარ.

სიყვარული ერთადერთი უძვირფასესი რამაა. იგია მეგობრობა, სიცოცხლე, ცხოვრება, ბედნიერება, სიხარული და დახმარება, მოლხენა, რაღაცის სიყვარული. სიყვარული ეშმაკშიც ხომ არსებობს. ეშმაკი ხომ გვირგვინია ბოროტთა გულისა. გული წითელია და სიყვარულიც უეჭველად წითელი იქნება. სიყვარული ყვავილთა სურნელია, რომელიც ნაზი სიოსავით დაჰქრის ხეებს შორის".

აი, ასეთია პატარა კესანე გვეტაძე — გოგონა ძალიან ლამაზი თვალებით და ამ თვალებს მიღმა მიმალული უზარმაზარი სამყაროს ნაზი ფერია, რომელიც ისე ლაღად



და თავისუფლად დაფრინავს ოცნებათა საოცარ, ფერად, უსაზღვრო სამყაროში, რომ ვერც კი ხედება ამას.

მინდა ეს სტატია კესანეს პატარა ჩანახატით დავამთავრო:

„პაწაწინა მარინა, ჩემი კუდრა გოგონა, ავად გამიხდა, მე არ მიხმარია წამალი, მხოლოდ, იცით, რა გამოვიყენე? ერთი კეთილი სიტყვა ვუთხარი და იმწამსვე კარგად გახდა".

გამოიყენეთ კეთილი სიტყვები ერთმანეთის მიმართ და ირგვლივ ყველა და ყველაფერი კარგად გახდება.

*ნინო მამადაშვილი*
*ნანა გოგოლიძე*

# პრეზიდენტის ახალი სტიპენდიატები

„განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიებისა და გრანტების"კონკურსში მონაწილეობდა 7-დან 25 წლამდე 378 ახალგაზრდა. პრეზიდენტის სტიპენდიატისთვის ერთი წლის განმავლობაში, ყოველთვიურად 100 ლარი იყო განსაზღვრული. კონკურსი 2000 წლის დასაწყისში გამოცხადდა, მაგრამ ბიუჯეტის სეკვესტრთან დაკავშირებული გაუგებრობის გამო გამარჯვებულები მხოლოდ ახლახან გამოვლინდნენ.

კონკურსის მონაწილეებს წარმოდგენილი ჰქონდათ სახელმწიფო ან არასამთავრობო ორგანიზაციის მუშაკის რეკომენდაცია, მოცემულ სფეროში მოღვაწე გამოჩენილი ადამიანის რეკომენდაცია და დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მედლები, დიპლომები). ჩატარდა· კომისიის ოთხი სხდომა, სადაც მოხდა საკონკურსოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ღია განხილვა. ღია კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა 100 გამარჯვებული.

„განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიებისა და გრანტების მინიჭების შესახებ" - საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 22 დეკემბრის № 746 ბრძანებულების შესაბამისად, დამტკიცდა განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიებისა და გრანტის მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილება და საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით პრეზიდენტის სტიპენდია 2000 წელს მიენიჭათ:

გიორგი ავალიშვილს,მარიამ ავალიშვილს, გიორგი ანჯაფარიძეს, ლევან ასათიანს, ლაშა ასლანიშვილს, მარიამ აფციაურს, ბექა ბანძელაძეს, ბექარ ბართაიას, ნინო ბარნაბიშვილს, დავით ბარჯაძეს, თენგიზ ბენდუქიძეს, გიორგი ბერაიას, ნათია ბერძენიშვილს, გიორგი ბოლაშვილს, ავთო გახოკიძეს, თამაზ გელაშვილს, კესანე გვეტაძეს, ნუცა გურეშიძეს, ირაკლი გუნიას, ნინო დავითაშვილს, გიორგი დალაქიშვილს, რატი დვალაძეს, ირაკლი დოლაბერიძეს, ირაკლი ევსტაფიშვილს, ალისა თავდიდიშვილს, ინგა თავდიშვილს, ალექსანდრე თიგიშვილს, მარიკა თხელიძეს, ზვიად იზორიას, ნინო კასრაძეს, ირაკლი კახაძეს, ცირა კემულარიას, ზურაბ კეპულაძეს, დავით კიკაბიძეს, დავით კილურაძეს, ირაკლი კოპაძეს, მანანა კუპრეიშვილს, ნუგზარ ლიპარტელიანს, დავით ლომიაშვილს, რუსუდან მაზმანიშვილს, ირაკლი მანელიძეს, ელისაბედ მარტიროსიანს, პელაგია მაჩაბელს, ნიკა მელქაძეს, ნიკა მემანიშვილს, გიორგი მინდიაშვილს, ვლადიმერ მკერვალიშვილს, ანი მოსულიშვილს, გიორგი მუტაფიანს, ირაკლი ნადარეიშვილს, მარინე ნადირაძეს, სოფო ნიჟარაძეს, იოსებ ნუცუბიძეს, რატი ნუცუბიძეს, ირაკლი ოდიშარიას, ემზარ ოთხოზორიას, ქეთევან ორჯონიკიძეს, არჩილ ჟიჟავაძეს, ნიკოლოზ სამბელაშვილს, ნეკა სებისკვერაძეს, მარიამ სიხარულიძეს, არჩილ სოლოღაშვილს, ნინო სურგულაძეს, ლაშა ტყებუჩავას, გიორგი უშიკიშვილს, ირაკლი ფალავას, აჩი ფურცელაძეს, ქეთევან ქემოკლიძეს, ზურაბ ქერდიყოშვილს, ზურაბ ქუჩუკაშვილს, ირაკლი ყალიჩავას, ნიკა ყიფშიძეს, მარიამ ყურაშვილს, თამარ შალვაშვილს, ირაკლი შენგელიას, ბაჩუკი ჩაბრაძეს, გიორგი ჩაკვეტაძეს, ლევან ჩიკვაიძეს, ქეთევან ჩიქოვანს, თეონა ჩაჩავას, ლევან ცაგარელს, ნატო ცინცაბაძეს, სოფიკო ცირეკიძეს, ნესტან ცისკარიძეს, ირაკლი წულაძეს, ნიკოლოზ ჭანყოშვილს, ლალი ჭელიძეს, თინათინ ჭინჭარაულს, შალვა ხარებავას, ინგა ხურცილავას, სოფიკო ხუხაშვილს, ალეკო ხუხუნაიშვილს, ლელა ჯავახიშვილს, რომან ჯავახიშვილს, ვახტანგ ჯავახაძეს, რომან ჯავახაძეს, ალექსანდრე ჯაოშვილს, ბადურ ჯობავას, რევაზ ჯორბენაძეს, მზია ჯაჯანიძეს.



# საგარეჯოდან ავსტრიამდე

საგარეჯოს მე-4 სკოლას, რომელიც წელს „სულ რაღაც 22 წლის შესრულდა, თავმოსაწონებელი ყოველთვის ჰქონდა. მას დღესაც გამოარჩევს დირექტორისა და მასწავლებლების მაღალი პროფესიონალიზმით, ასეთივე პასუხისმგებლობის გრძნობა, რაიონის (და არა მარტო) ყველა სასიკეთო საქმეში მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა, მათ მიერ სხვადასხვა მასშტაბისა და სახის ფესტივალებზე, კონფერენციებსა თუ სპორტულ შეჯიბრებებზე მოპოვებული გამარჯვებები. ყოველივე ეს კი მრავალფეროვნებას, ხალისსა და ინტერესს სძენს სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებას. აქ ყოველთვის შეუცდომლად გრძნობენ დროის მაჯისცემას, მოთხოვნებს და მათ შესაბამისად შეაქვთ კორექტივები ამა თუ იმ საგნის სწავლება იქნება თუ ზოგადად მოსწავლეების მომავალ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის მოძებნისთვის მზადება.

უცხო ენებიდან მეოთხესკოლელები გერმანულისა და ინგლისურს სწავლობენ, ამ უკანასკნელს კი დაწყებითი კლასებიდანვე ეუფლებიან. სკოლაში ცეკვის ანსამბლიც აქვთ (ხელმძღვანელი გია კუჭუაშვილი). რომლის ყოველი გამოსვლა ნებისმიერ ღონისძიებაზე, ფესტივალსა თუ კონკურსზე მორიგი გამარჯვებით მთავრდება.

სამი წელია სკოლაში გამოდის გაზეთი „ჩემი სკოლა“, რომელიც ფართოდ აშუქებს სკოლაში მიმდინარე პროცესებს. მის ფურცლებზე დიდი ადგილი ეთმობა მოსწავლეთა შემოქმედებას. ხშირად გვერდის რედაქტორები თავად ბავშვები არიან ხოლმე, საერთოდ კი გაზეთის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ პედაგოგ-მასწავლებლებიც. გაზეთის რედაქტორია ქალბატონი მანანა გილაშვილი, რომელიც დიდი პასუხისმგებლობითა და რუდუნებით ამზადებს თითეულ ნომერს. მანანა მასწავლებელი ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის და როგორც ბავშვები ამბობენ, ის მათი უსაყვარლესი მასწავლებელია.

ორი წლის წინათ მომხდარმა ამბავმა ახალი ელფერი შესძინა მე-4 სკოლის სისხლსავსე ცხოვრებას – იგი იუნესკოს ასოცირებული სკოლა გახდა.

1998 წლის მარტში გაზეთმა „ჩე-



მი სკოლა“ მკითხველს ამცნო:

„ჩვენს სკოლაში ტარდება იუნესკოს ასოცირებული სკოლების მოსწავლეთა კონფერენცია. იგი გარანტირებულია იუნესკოს მიერ. გრანტი მოხმარდება სკოლისთვის კომპიუტერული და სხვა სახის ტექნიკის შეძენას. მიმდინარეობს განცხადებების მიღება იუნესკოს ასოცირებული სკოლებიდან“.

და... დაიწყო დიდი მზადება. იყო ერთი ფუსფუსი. სამზადისში ჩაერთო მთელი სკოლა – მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები.

კონფერენციის მიზნები და ამოცანები ძირითადად ასეთი იყო: იუნესკოს ასოცირებულ სკოლებს შორის ურთიერთობის დამყარება, მოსწავლეთა გათვითცნობიერება, მათში ეროვნული და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის გრძნობის აღზრდა, ადამიანთა შორის კეთილი დამოკიდებულების, თანასწორუფლებიანი, მშვიდობიანი ურთიერთობების, ცხოვრებისა და თანაცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, მოსწავლეთა შემოქმედებითი შრომის სტიმულირება.

ამას კი წინ მნიშვნელოვანი მოვლენა უსწრებდა. საგარეჯოში ქართველებთან ერთად ავსტრიელ სტუმრებსაც ელოდნენ. საერთაშორისო კონფერენციისთვის მზადება გრძელდებოდა და ეს დირშესანიშნავი დღეც დადგა. საგარეჯო მასპინძლობდა სტუმრებს ქუთაისიდან, თელავიდან, თბილისიდან, მცხეთიდან და ... ავსტრიიდან. ავსტრიელებს ხელმძღვანელობდა ერვინ ქიონიკი ქ. გრაციდან, ამ ქალაქის იუნესკოს კომისიის გენერალური მდივანი. სტუმრებისთვის მოეწყო ექსკურსია გარეჯის სამონასტრო კომპლექსში. რაც შეეხება უშუალოდ კონფერენციას, უცხოელმა სტუმრებმა წარმოადგინეს თემები ქალაქების შესახებ. ქართველ ბავშვთა თემები ეხებოდა უძველეს ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, რომლებიც მოვლა-პატრონობას საჭიროებენ. მასპინძელთაგან კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ შალვა ლომსაძე, მაკა შიოშვილი, მაია პაპუნაშვილი, თეონა ელერდაშვილი.

მაკას თემა მიეძღვნა მე-4 სკოლაში არსებულ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და მის ექსპონატებს. სხვათა შორის, იმ დღეებში მაკას

და შალვა ლომსაძეს საკუთარი სტუმრები ჰყავდათ. მაკა მასპინძლობდა ავსტრიელ თანატოლს – საბინა პრინცს, შალვა კი – მაიკლს.

კონფერენციამ დიდი წარმატებით ჩაიარა. სტუმრები აღაფრთოვანა ქართულმა ისტორიულმა ძეგლებმა, სტუმართმასპინძლობამ და კერძებმა... ფუძეჩაყრილი მეგობრობის გაგრძელება იყო საგარეჯოელი ბავშვების ვიზიტი ავსტრიაში. იუნესკოს ინიციატივითა და სახსრებით მე-4 სკოლის ორი მოსწავლე –



მაკა შიოშვილი და შალვა ლომსაძე ავსტრიაში გაემგზავრნენ. მათთან ერთად იყო ამ სკოლის დირექტორი ქალბატონი ციცინო კვასხვაძე. საქართველოს ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე: ნინო ბაკაშვილი, ასოცირებული სკოლების კოორდინატორი იუნესკოს ეროვნული კომისიიდან, ქალბატონი ლალი მესხი, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, ლამარა მარგველაშვილი, თბილისის № 53 საუნივერსიტეტო სკოლის დირექტორი, ვოვა პაპერმანი – თბილისის საბუნებისმეტყველო ლიცეუმის კოორდინატორი, № 6 გერმანული სკოლის პედაგოგი ამირან სიმონიშვილი და თერთმეტი მოსწავლე იუნესკოს ასოცირებული სხვადასხვა სკოლებიდან.

ქართველ სტუმრებს ძირითადად მასპინძლობდა ქალაქი გრაცი, ამ ქალაქის იუნესკოს კომისია, გენერალური მდივანი ერვინ ქიონიკი და იუნესკოს ასოცირებული ხუთი სკოლა, მათ შორის ლიხტენფელზგიმნაზია, ტექნიკური ორთვაინის სკოლა, რომელთა პედაგოგები და მოსწავლეებიც იყვნენ სტუმრად საგარეჯოს მე-4 სკოლის გახმაურებულ კონფერენციაზე.

პროგრამის საქმიანი ნაწილი ძალიან დატვირთული იყო. გრაცში ყოფნის ყოველ დღეს ქართველ სტუმრებს მასპინძლობდა თითო სკოლა. მათ შემუშავებული ჰქონდათ შეხვედრების სპეციალური პროგრამები. მოსწავლეთა შეხვედრების ფორმა და ხასიათი სხვადასხვა სკოლაში განსხვავებული იყო. მოხსენებებს კითხულობდნენ როგორც ჩვენი, ასევე მათი მოსწავლეები.

მაკა შიოშვილის გამოსვლის თემა იყო „დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი", ხოლო შალვა ლომსაძის – „ქართული ღვინოები".

მაკა თავისუფლად ფლობს გერმანულ და ინგლისურ ენებს, ამიტომ მას უცხოელ თანატოლებთან ურთიერთობის დამყარება არ გასჭირვებია. ავსტრია ლამაზი ქვეყანაა, ძალიან ლამაზი ბუნებით, თუმცა ერთგვარი ხელოვნურობა იგრძნობა. ის, რაც იქ ხელოვნურად არის შექმნილი, ჩვენ ბუნებრივად გაგვაჩნია, მაგრამ გაფრთხილება არ ვიცით, – ამბობს მაკა. ავსტრიული სკოლებიც განსხვავებულია. ჩვენი ტიპის სასწავლებელი იყო მხოლოდ ლიხტენფელზგიმნაზია, ეს კლასიკური გიმნაზიაა, სადაც ასწავლიან კლასიკურ ენებს – ბერძნულს და ლათინურს. ეს სასწავლებელი საუნივერსიტეტო განათლებისათვის ამზადებს თავის მოსწავლეებს. რაც შეეხება ავსტრიელთა მასპინძლობას, ამაზე აღარაფერს ვიტყვი, რადგან მათმა გულთბილობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, სადღაც გაქრა ავსტრიული თავშეკავებულობა, სიცივე, რომლის შესახებაც ამდენი გვსმენია.

ჩვენ ვნახეთ ვენა, ქალაქი – მუზეუმი ჰალშტატი, თავისთავად გრაცი და მოცარტის სამშობლო – ზალცბურგი.

გრაცში ოჯახებში ვცხოვრობდით. თითო ოჯახში თითო სტუმარი ცხოვრობდა. ჩვენი მასპინძლები იყვნენ „ყოფილი სტუმრები" ლიხტენფელზგიმნაზიის პედაგოგი რეგინა მაიერკოპფე, ორთვაინის სკოლის პროფესორი დიტერ რიცი, მოსწავლეები ამ სკოლიდან ანა და მიხაელი, საბინა და ვოლფგანგი.

ახლა რაც შეეხება ავსტრიულ სამზარეულოს... ქართული კერძების შემდეგ ავსტრიულმა სალათებმა ნაკლებად აღაფრთოვანეს ჩვენი ბავშვები. მათი ყველაზე პრესტიჟული სადილი პრესტიჟული სტუმრებისათვის გოგრის სუპია, რომლის ჭამა ქართველებს რბილად რომ ვთქვათ, გაუჭირდათ... ავსტრიელები კი თურმე მოხიბლა ჩურჩხელამ და ქართულმა შოთის პურმა, რომელიც ავსტრიულთან შედარებით, ძალიან გემრიელია.

ქართველ და ავსტრიელ ბავშვებს შორის სხვაობა ძალიან დიდია. მართალია, ზოგადი განათლების მხრივ ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ რაც შეეხება დამოუკიდებლობას, ჩვენთან შედარებით მათ მეტი თავისუფლება გააჩნიათ. სკოლის შემდეგ, საღამოობით ისინი მუშაობენ და ანაზღაურებაც ნორმალური აქვთ, ასე რომ მშობლებზე არ არიან დამოკიდებულნი, მათ თვითონაც შეუძლიათ ჩვენი გამასპინძლება. ჩვენმა ბავშვებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ავსტრიელები დიდ პატივს სცემენ ეროვნულ ტანსაცმელს. თუკი ქუჩაში ამ ტანსაცმლით გაივლი, ყველა თავაზიანი ღიმილით გიყურებს და გაკვირდება.

ბოლოს განშორების დღეც დადგა. ავსტრიიდან წამოსვლისას იყო ბევრი ცრემლი და კვლავ შეხვედრის დიდი სურვილი.

ავსტრიაში მიღებული შთაბეჭდილებები ძალზე ლამაზად გამოხატა საგარეჯოს მე-4 სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ციცინო კვასხვაძემ: „ერთი ცერემონიული სადილის შემდეგ ვთქვი: ეს არ იყო სადილი. ეს იყო შტრაუსის ვალსი-მეთქი. პირველად მაშინ გავაცნობიერე, რომ მე ავსტრიის სინამდვილეს მუსიკის



თანხლებით აღვიქვამდი. საიდან მესმოდა ეს მუსიკა არ ვიცი, ვერც იმას აგიხსნით, როგორ ხდებოდა ეს, მაგრამ ასე იყო. მე ვაპირებ იმის თქმას, რომ ავსტრია თვითონ არის მუსიკა, და მინდა, რომ დამიჯეროთ... ავსტრია სიმფონიების აკვანია, მე ვფიქრობ, თვითონაც სიმფონიაა, ერთი დიდი, მრავალთემიანი სიმფონია, რომელიც ჩვენ ასე ტკბილად, ასე სათუთად მოგვასმენინეს ჩვენმა მასპინძლებმა. ბატონ ერვინ ქიონიკისა და ქალბატონ სილვია კოლუხის დირიჟორობით.

დიდი მადლობა მათ ამისთვის. დიდი მადლობა ჩემი და ჩემი შაკომაკას სახელით. ყველას, ვინც ჩვენს მიპატიჟებასა და გამგზავრებას შეუწყო ხელი".

*ნინო მამალაშვილი*

*ქ. საგარეჯო*



## განათლების მეცენატი

# ბიზნესმენი, რომელიც ადრე სკოლის დირექტორი იყო

თბილისის მერიის მიერ განათლების სისტემის სხვადასხვა დარგებში მოღვაწე ყველაზე ღირსეული მუშაკების გამოსავლენად ჩატარებული კონკურსის შედეგების მიხედვით, 2000 წლის მეცენატის წოდება მიენიჭა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, ბიზნესმენ გიორგი გაგუას.

*— ბატონო გიორგი, თუ შეიძლება გაეცანით ჩვენს მკითხველს. რაში გამოიხატება თქვენი მეცენატობა განათლებასთან მიმართებაში?*

— თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით სოფელ დიღმის საშუალო სკოლაში მოვხვდი. მოგვიანებით მცხეთის რაიონის სოფლების ნიჩბისისა და ლისის სკოლებში ვმუშაობდი. შემდეგ თბილისის 106-ე საშუალო სკოლის დირექტორად დამნიშნეს. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რაოდენ მნიშვნელოვანია სკოლისათვის ნორმალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ტექნიკური საშუალებებისა და თვალსაჩინოებების გარეშე სასწავლო პროცესი არასრულფასოვანი და უფერულია. არც საკლასო ოთახის ბათქაშჩამოცვენილი, დაბზარული კედლები და მოძველებული, დამტვრეული მერხები უქმნის დადებით განწყობას სკოლაში მოსულ ბავშვებს. მოკრძალებული თანხა, რომლითაც ჩვენი სახელმწიფო დღეს განათლების სისტემას აფინანსებს, სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს.

10 წელია რაც ბიზნესში ჩავები. შეიძლება ითქვას, რომ მე და ჩემს მეგობრებს — თენგიზ გავაშელს, კოტე კაპანაძესა და გია ანდღულაძეს (წარსულში ისინიც პედაგოგები იყვნენ) გაგვიმართლა. თუმცა სკოლის, ყოფილი კოლეგებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის პრობლემები ჩვენთვის კვლავინდებურად ახლობელი და მტკივნეულია და როცა შესაძლებლობა გაგვიჩნდა, გადავწყვიტეთ, სწორედ განათლების სისტემას გავუწიოთ ფინანსური დახმარება. თბილისის სამგორის რაიონის საშუალო სკოლებს ვეხმარებით. რაიონის განათლების განყოფილების გამგე, ბატონი თამაზ ნაცვლიშვილი მხარში გვიდგას.

მოგეხსენებათ, სკოლების უმრავლესობაში მაღალ კლასებში სწავლა ფასიანი გახდა. ოჯახის ხელმოკლეობის გამო ბევრი მოსწავლე ვერ აგრძელებს სწავლას და სკოლის კედლებს მიღმა რჩება, ამას კი კარგი არაფერი მოაქვს. ამ გარემოებით შეწუხებულებმა გადავწყვიტეთ გვეზრუნა ასეთ ბავშვებზე და დღეს ჩვენ 200-მდე უფროსკლასელ მოსწავლეს ვუხდით სწავლის საფასურს. არც მასწავლებლებს ვტოვებთ უყურადღებოდ, მატერიალურად ვახალისებთ მათ. ჩემი აზრით, მასწავლებლის სოციალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის მიერ მოსწავლეებისათვის ცოდნის გადაცემის ხარისხს. ჩვენი მზრუნველობის არეში არიან პენსიონერი პედაგოგებიც. ჩვენ ასე გადავწყვიტეთ — ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს პენსიონერი პედაგოგების მკურნალობის თანხას ვუნაზღაურებთ. გარდა ამისა, სტიპენდიები დავუნიშნეთ თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის 10 წარჩინებულ სტუდენტს.

*— მადლობის მეტი რა ეთქმის საზოგადოებას თქვენთვის, აი სხვებიც რომ მოგბაძავდნენ... საინტერესოა, მაინც როგორ გახდა სკოლის დირექტორი გიორგი გაგუა წარმატებული ბიზნესმენი, „ლილოს ბაზრობის" სახელით ცნობილი დედაქალაქის უმსხვილესი სავაჭრო ცენტრის „ელსავალოს" თანამფლობელი?*

— ყველაფერი 1989 წელს დაიწყო. მაშინ თბილისში მსხვილი სავაჭრო ცენტრები — ბაზრობები არ არსებობდა. საკანონმდებლო-საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად და თავად საქმის წამოსაწყებად მე და ჩემმა მეგობრებმა მოკრძალებული თანხა ვისესხეთ, თუმცა მაშინ ეს ფული ჩვენთვის ნამდვილი კაპიტალი იყო. პირველი დახლები თვითონ ჩვენი ხელით ავაწყეთ, თავს არ ვზოგავდით, ქარსა თუ წვიმაში მუხლჩაუხრელად ვმუშაობდით. ვერც წარმოიდგენთ, როგორ გვწყდება გული, ოდესღაც ჩვენი ხელით, გაჭირვებით აწყობილი დახლები რომ უნდა დაშალონ...

*— დღეს ბევრი მოზარდი ოცნებობს ბიზნესმენობაზე. რას ურჩევდით მათ?*

— წარმატების მიღწევას პატიოსანი გზით. ხალხს მიაჩნია, რომ პატიოსნებით ბიზნესში გზას ვერ გაიკვალავ, მაგრამ მერწმუნეთ, საქმიანობისთვის, მეწარმისათვის სწორედ პატიოსნებაა წარმატების გარანტია. რამდენი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა „მოხერხებული" ბიზნესმენები სხვების მიმართ გამოჩენილი უსამართლობისა და სიხარბის გამო იძულებული გახდნენ ან სამშობლოდან გადახვეწილიყვნენ ან თვითმკვლელობით დაემთავრებინათ სიცოცხლე. ასეთებს ხშირად მოტყუებული პარტნიორებიც აგებინებენ პასუხს. ფულმა როგორ უნდა მაცდუნოს, მეგობრებს როგორ უნდა ვუღალატო...



ხვალინდელ დღეზეც ვფიქრობ, ცოლ-შვილთან ერთად მთელი სიცოცხლე სამშობლოში მინდა ვიცხოვრო. და კიდევ... მწამს — ბიზნესმენი ქედბედიანი უნდა იყოს, უნდა უმართლებდეს მეგობრებში, საქმიან პარტნიორებში, წამოწყებულ საქმიანობაში...

*— ბატონო გიორგი, მატერიალურმა კეთილდღეობამ მკვეთრად შეცვალა თქვენი ცხოვრება?*

— როგორ გითხრათ... ჩემს ოჯახსა და ახლობლებს უკეთესი ეკონომიკური პირობები შევუქმენი. მეგობრების წრე არ გამომიცვლია. არც ანგარებით „ძმაკაცობა" დამჩემებია. ცხოვრებას მევახშე-ჩარჩის თვალით არ ვუყურებ...

*ესაუბრა ნანა მაყაშვილი*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო კიდით კიდემდე

## ბრაზილია

### ყველაზე მაღალი ნაძვის ხე

ბრაზილიის პატარა ქალაქის – იტუს მთავარ მოედანზე საახალწლოდ მსოფლიოში ყველაზე მაღალი ხელოვნური ნაძვის ხე დადგეს. 78 მეტრის სიმაღლის ნაძვის კენწეროს ოთხმეტრიანი წითელი ვარსკვლავი ამშვენებდა, ტოტები კი 6,5 ათასი სხვადასხვა ფერის ნათურით ჰქონდა მორთული.

## სინგაპური

### მომავლის სკოლა

სინგაპურის რამდენიმე კერძო სკოლისა და კოლეჯის მოსწავლეებს პირველებს ერგოთ ინტერაქტიური სწავლების უპირატესობების საკუთარ თავზე გამოცდა. ჩვეული სასკოლო ნივთების ნაცვლად გოგო-ბიჭებს პატარა კომპიუტერები – ინტერნეტში ჩართული ნოუტბუკები დაურიგეს. ამიერიდან სინგაპურელი მოსწავლეებისთვის საკლასო ოთახში ჯდომა აუცილებელი აღარ იქნება. მათ შეუძლიათ სკოლის ეზოში ბალახზე წამოგორდნენ, მასწავლებელი კი ცენტრალური კომპიუტერის მეშვეობით დაუკავშირდება მათ, საშინაო დავალებასაც შეუმოწმებს და ახალ დავალებასაც მისცემს. თვითონ თინეიჯერებს ძალიან მოსწონთ ასეთი მეთოდიკა, მშობლები კი ისევ ძველი ტრადიციული სწავლების მომხრეები არიან.

## აშშ

### ძალადობის ამსახველი ფილმები აიკრძალება

ამერიკის ფედერალური სავაჭრო კომისიის განცხადებით ფილმები, მუსიკალური კლიპები და კომპიუტერული თამაშები ძალადობის შესახებ არასრულწლოვანებს ფსიქიკას უზიანებს და ამიტომ მსგავსი პროდუქციის გამოშვება უნდა შეიზღუდოს. დადგენილია, რომ ძალადობის შემხედვარე ბავშვს სურვილი უჩნდება მოძალადეს დაემსგავსოს, ბავშვების უმრავლესობაში ამგვარი ფილმების ყურების შედეგად პოტენციური დამნაშავე ილევიძებს.

## ავსტრალია

### მშობელს შვილის ცემა ეკრძალება

ავსტრალიის პარლამენტმა განიხილა კანონპროექტი, რომელიც მშობლებს საკუთარი შვილების მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენებას უკრძალავს. თუ ამ კანონპროექტს მიიღებენ, დედა იქნება, თუ მამა შვილის ცემისთვის პასუხისგებაში მიეცემა. საზოგადოება მოწონებით შეხვდა ახალ კანონპროექტს. პირველებმა მას ბავშვთა ექიმებმა დაუჭირეს მხარი. თუმცა ავსტრალიელთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ფიზიკური დასჯა მშობლების ხელშეუხებელი უფლებაა.

## გერმანია

### რა მოჰყვა შვილის ხუმრობას

რვა წლის რაინელმა ბიჭმა იხუმრა, მამისეული მართვის მოწმობიდან მისი ფოტოსურათი ამოჭრა და მის ნაცვლად ყურამდე გაღიმებული საკუთარი პორტრეტი ჩააწება. როცა პოლიციელებმა მამა გააჩერეს და მისი მართვის მოწმობას დახედეს, გაცოფებულებმა პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. მძღოლმა, რომელსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რაში იყო საქმე, იქლა დახედა შვილის ნამოქმედარს და კინაღამ გადაირია. მხოლოდ სპეციალური ექსპერტიზის საშუალებით მოხერხდა იმის დადგენა, რომ საბუთი ნამდვილი იყო, „ყალბი“ კი მარტო მისი პატრონის ფოტოსურათი აღმოჩნდა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა დღეს დააყენებდა შვილს შინ დაბრუნებული მამა.

## აშშ

### ინტერნეტ-ცნობარი სვირინგების შესახებ

„მებრძოლთა ლიგის“ საიტზე იმ სიმბოლოთა, ნიშანთა და ტატუირებათა განსამარტავად, რომლებსაც მოზარდები იყენებენ, გაჩნდა ინტერნეტ-ცნობარი.

ცნობარის დანიშნულებაა მშობელთა და მასწავლებელთა ყურადღება გაამახვილოს სიმბოლოებზე, რომლებიც აღბეჭდილია მოზარდის ტანსაცმელსა თუ სხეულზე და აუხსნას მათ რომელი მათგანი მიანიშნებს რასისტულ, ნაციონალისტურ ან ოკულტურ ორგანიზაციათა კუთვნილებაზე. პროექტის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ამგვარი ცნობარის შექმნა დიდი დახმარება იქნება გავრცელებულ რასისტულ და ნაციონალურ მოძრაობებთან ბრძოლაში.

საიტზე ქვეყნდება ისეთი სიმბოლოები, როგორიცაა სვასტიკა, ამობრუნებული ჯვარი, რომელიც იშიფრება როგორც ქრისტიანობის უარყოფა, რუნა „პაციფიკი“, კელტური ჯვარი და კონფედერაციის დროშა. გრაფიკულ სიმბოლოთა გარდა, ინტერნეტ-ცნობარში წარმოდგენილია ასევე „სახიფათო“ აბრევიატურები და ციფრული სიმბოლოები (მაგალითად, 666, 4 20 – ჰიტლერის დაბადების დღე, 311 - კუკლუქსკლანის ნიშანი). განყოფილებაში – „მუსიკა მხოლოდ თეთრებისთვის“ მოყვანილია იმ ჯგუფებისა და ალბომების ნიმუშები, რომელთაც უსმენენ ისინი, ვინც ეკუთვნიან ნაცისტურ ორგანიზაციებს.

## უკრაინა

### დელფინები ბავშვებს მკურნალობენ

საბჭოთა ეპოქაში ყირიმის ნახევარკუნძულზე განლაგებულ ერთ-ერთ ყველაზე საიდუმლო სამხედრო ბაზაზე ექსპერტები დელფინებს მტრის გემების მოძებნას და მათზე ასაფეთქებელი მოწყობილობების დაყენებას ასწავლიდნენ. დღეს კი იგივე დელფინებს გადასამზადებელი კურსის გავლის შემდეგ ფსიქიურად დაავადებულ ბავშვების სამკურნალოდ იყენებენ. ბავშვები ექიმებისა და მწვრთნელების მეთვალყურეობით ბანაობენ და ეთამაშებიან დელფინებს. მკურნალობის შედეგი იმაზე მეტყველებს, რომ დელფინების მიერ გამოცემული ხმები და მათი რიტმული მოძრაობები დადებით ეფექტს იძლევა. დელფინთან ურთიერთობისას ბავშვები წყნარდებიან, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ გამოჯანმრთელებას.

დღემდე დელფინოთერაპიის კურსი 2000-ზე მეტმა ბავშვმა გაიარა.

# ნიკო ფიროსმანაშვილზე — ყრმათათვის

რევაზ ინანიშვილი

ნიკო ფიროსმანიო! – ქართველი თვითნასწავლი მხატვარიო!

დაიბადა იგი 1862 წელს აღმოსავლეთ საქართველოს პატარა სოფელ მირზაანში, გლეხის ოჯახში. მირზაანი



კახეთის ქედის თხემზეა გაფენილი, ფიროსმანიშვილების დაბალი სახლი ფართოდ გაშლილ ალაზნის ველსა და გრძლად გაჭიმულ მთავარ კავკასიონს გადაჰყურებს. ალაზნის ველზე ხშირად სქელი ნისლი დაწვება ხოლმე – ძირს მკვრივი თეთრი ნისლია, უძრავი, ყინულოვან ზღვასავით, წვერებდათოვლილი კავკასიონის მთები კი აფრებიანი გემების ქარავანივით გაჩერებულა იმ სითეთრეში.

უტყეო ქედზე მდებარე მირზაანის შემოგარენი არ ირწყვის. გაზაფხულის ხავერდოვანი სიმწვანე ივნისის ნახევრამდე თუ სძლებს. შემდეგში უდაბნოურ იერს იძენს ყველაფერი, უდაბნოურად ვარვარებს გადახურებული ბორცვების თავზე მზე. თოვლიც თხელი იცის, ისიც – ხანმოკლე. მირზაანელები მისდევდნენ უმთავრესად მესაქონლეობას, მოჰყავდათ პურეული, გამართული ჰქონდათ კალო-საბძლები, ორიოდე ოჯახის კი თავს იწონებდა ვენახებითაც. ის ვენახები სოფლიდან შორს იყო, ალაზნის ველზე, სამუშაოდ და რთველში ურმებით მიდიოდნენ, თანაც ღამე იქ დგომით.

ნიკოს დედ-მამა ადრე გარდაეცვალა. უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები – ნიკო და ორი მისი დაი (ერთი ნიკოზე უფროსი, მეორე – უმცროსი) ნათესავებმა თბილისში წაიყვანეს და ხელზე მოსამსახურეებად დააყენეს სხვადასხვა ოჯახში. მაგრამ თბილისშიც უბედურება დაატყდათ, – უფროსი და გარდაიცვალა. მომავლის შიშმა ნიკო და უმცროსი დაი ისევ სოფლისაკენ გარეკა. გოგონა სახლს უვლიდა, ნიკო სოფლის საქონელს მწყემსავდა, აბგაში ედო ხოლმე ხმელი პური და წიგნი. გაეფინებოდა საქონელი ნელი ძოვნით მთის ფერდობს, ნიკო კი ან წიგნს კითხულობდა, ან არადა დაფიქრებული გადაჰყურებდა მიდამოს. მდუმარედვე იდგა სამრეკლოშემაღლებული პატარა, თეთრი ქვის ეკლესია სოფლის განაპირას, კორტოხზე, შავად იხატებოდა ეკლესიასთან აშოლქვილი რამდენიმე აკაკის ხეც.



მალე ნიკო კვლავ თბილისში დაბრუნდა. ერთხანს რკინიგზაში მუშაობდა საბარგო მატარებლის გამცილებლად. სიცივით ბაბანებდა ფარღალალა ბაქანზე მოკუნტული. ვერ გაუძლო ამ საქმეს, საკუთარი განცხადებით გათავისუფლდა და ბედი ვაჭრობაში სცადა, რძეს და რძის ნაწარმს ყიდდა ნათლიმამასთან ერთად. თან ხატავდა მოცალეობაში. თვითონ დაახატა დუქანს სამი ძროხა – თეთრი, წითელი და შავი. იდგნენ მშვიდი, კეთილი ძროხები და თითქოს ისინიც ელოდნენ მუშტრებს.

თავდაპირველად საქმე კარგად წავიდა. ნიკომ მირზაანში ახალი სახლიც კი აიშენა, თუნუქით გადაახურინა, კედლები მოხატა. სოფელი გაოცებული იყო მისი ჩახჩახა ნახატებით – ასეთი რამე დიდ ტაძრებში თუ ენახათ. ყველა ელოდა, ნიკო ცოლს შეირთავდა, მშობლიურ სოფელში დამკვიდრდებოდა, მაგრამ ნიკომ ერთ დღეს მთელი სოფელი დაიპატიჟა, დიდებული ქეიფი გადაიხადა, მეორე დღეს კი ისევ თბილისის გზას დაადგა. წავიდა და სოფელში აღარასოდეს მობრუნებულა. ხმები დადიოდა, – დუქანი

და მთელი თაყისი ავლადიდება ვილაც ფრანგ მოცეკვავე ქალს გადააგოო, იმ ქალმაც ულალატა, მიატოვა, გაუბედურებული დადისო.

მართლაც, მთლად მარტოსლა თუ ხედავდნენ – მაღალს, გამხდარს, გზადაკარგულსავით მოარულს. ერთხელაც სცადა – ქალაქში ცნობილ თვითნასწავლ მხატვარ, გიგო ზაზიაშვილს შეუამხანაგდა. სამხატვრო სახელოსნოში დაიწყო მუშაობა, მაგრამ ველარც ამ საქმეს დაუდო გული, ზაზიაშვილსაც დასცილდა და სამუდამო მარტოკაცად იქცა. დადიოდა, დაეხეტებოდა რალაც საგონებელით მხრებდალუნული, დაჰქონდა სალებავების ძველი ყუთი. ჩადიოდა მოქეიფეებით ახმაურებულ სარდაფებში, მედუქნეებს ერთი ულუფა კერძის ფასად უხატავდა აბრებსა და შელახული კედლების დასაფარავად შეკვეთილ სურათებს. ღამეებს ათენებდა ბუდრუგანებში, ფარდულებში, თანაც ყველგან და ყველაფერზე ხატავდა. ხატავდა მუყაოზე, თუნუქზე, მინაზე, მუშამბაზე, კედლებზე. ხატავდა სოფელსა და ქალაქს – სოფლურ ქორწილებს, საეკლესიო დღესასწაულებს, კალოობას, რთველს, ქალაქელების ქეიფებს. ნატურმორტებს, ომს, მუშტრის მომლოდინე ბალების ტურფებს, ქალაქურ ტიპაჟებს, მათს ყოველდღიურ ყოფას. ხატავდა ცხოველებსა და ფრინველებსაც: ლომებს, დათვებს, ირმებს, შვლებს, მელიებს, ტახებს, არწივებს, ქათმებს, ბატებს, რალაც მისტიკურ შავ ფრინველებს. ხატავდა მცენარეებს: მსხმოიარე ვაშლებს, მედიდურ ვაზებს, ბროწეულებს, სიმინდებს, ყვავილებსა და ყოველივე მისგან შექმნილი თითქოს გარღვევა იყო დარდის ბურუსისა, იქიდან ამოჩენილი საგნები იყვნენ მნიშვნელოვანნი, მძაფრად მეტყველნი ბავშვის თვალებივით...

1912 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები ილია ზდანევიჩი



და მიშელ ლე დანტიუ დაინტერესდნენ ფიროსმანის ნახატებით, დაიწყეს მათი შეგროვება. მალე ამ საქმეში ჩაება თბილისის სამხატვრო გალერეის დირექტორი დავით შევარდნაძეც. მცირე დროში ბევრი მისი სურათი შეგროვდა. თბილისელ მხატვართა საზოგადოებამ ფიროსმანი თავის სხდომაზეც მიიწვია. ფიროსმანი გახარებული იყო, მაგრამ თავი მაინც უალრესად მშვიდად ეჭირა. მან მხატვართა საზოგადოებას შესთავაზა: „ავაშენოთ დიდი სახლი, სადაც შეგვეძლებოდა შეკრება, ვიყიდოთ დიდი მაგიდა, დიდი სამოვარი, დავლიოთ ხოლმე ჩაი, ბევრი ჩაი, ვილაპარაკოთ ფერწერაზე, ხელოვნებაზე". მაგრამ ომი იყო, სახლი არ აშენებულა. ფიროსმანიც გაქრა, შეიძლება, ყველასაც კი შემოსწყრა – ერთ-ერთ გაზეთში შარჟი დაიბეჭდა მასზე. შარჟს მინაწერი ჰქონდა – „ხატე, ხატე, იქნებ ხატვა ისწავლო!" იგი არც იმ გამოფენაზე გამოჩენილა, რომელიც 1916 წლის ზაფხულის ბოლოს ილია ზდანევიჩმა მოუწყო თავის ბინაზე. გამოფენამ დიდი ხმაური გამოიწვია ხალხში. ერთნი გმობდნენ ფიროსმანს, უწოდებდნენ „ხატვის ელემენტარული წესების უცოდინარს", მეორენი მასში ხედავდნენ განუმეორებელი ნიჭის პატრონს, ქართულ მხატვრობაში ნამდვილი ეროვნული კოლორიტისა და სულის ყველაზე უფრო მძაფრად შემგრძნობს. დიდი ძებნის შემდეგ ფიროსმანი ახალგაზრდა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა იპოვნა. ავადმყოფი მარტოკაცი კიბისქვეშა ბუდრუგანაში შეყუჟული დახვდა. ჩანდა, დიდად უჭირდა. მაინც დიდი თავაზით ელაპარაკა გუდიაშვილს, აუხსნა, რას ამბობდა იგი თავისი სურათებით: „ცხოვრება კონტრასტია. ეს მე კარგად მესმის: მდიდარი – ღარიბი, თეთრი – შავი. ცხოვრებაში ყველაფერს ორი მხარე აქვს: კეთილი და ბოროტი მხარე. აი, თეთრი ძროხა არის სინაზის, სიმშვიდის, სიყვარულის სიმბოლო, ის ჩვენ რძეს, ხორცს და ტყავს გვაძლევს. თეთრი ფერი – სიყვარულის ფერია. შავი ხარი ჩხუბობს, ღრიალებს – ომია. არწივია დიდია და დაუნდობელი, პატარა, სუსტსა და უბედურ კურდღელს ძიძგნის... არწივი – ეს მეფის არწივია, კურდღელი კი... ეს მე და თქვენა ვართ. როცა ორთაჭა-

ლის დაღუპულ ტურფებს ვხატავ, მე მათ შავი ცხოვრების შავ ფონზე ვათავსებ. მაგრამ მათაც აქვთ ცხოვრებისადმი სიყვარული – ეს არის მათ ირგვლივ მოთავსებული ყვავილები, მათ მხრებთან – ჩიტები. მე მათ თეთრ ზეწრებში გახვეულებს ვხატავ, მებრალებიან, თეთრი ფერით ცოდვებს ვაპატიებ"... ფიროსმანმა გაანდო თავისი სამდურავიც: „მე ბევრ თქვენთაგანს ვიცნობ.



მათ ვეზიზღები და დამცინიან. უცნაური კია, მე ხომ მათთვის ცუდი არასოდეს გამიკეთებია, მეც ისეთივე მხატვარი ვარ, როგორებიც ისინი არიან. მე ჩემებურად ვხატავ. მაგრამ უკუღმართმა ბედმა აქ ჩამაგდო, ამ დასაკარგავში, ძუნწ ადამიანთა სამყაროში".

გუდიაშვილმა ფიროსმანს გადასცა ქართველი მხატვრების მიერ შეგროვილი ფული. ფიროსმანს ეძნელებოდა სასიამოვნო სტუმართან განშორება. ბოლოს მაინც განშორდნენ გვიან ღამით. გუდიაშვილი წუხილით იგონებს მის თვალებს: „ნიკო იდგა და გაბრწყინებული ნამიანი თვალებით მაცილებდა". მნახველებს სამუდამოდ ამახსოვრდებოდათ ეს თვალები. აი, რას წერს კინორეჟისორი მ. ჭიაურელი:" მისი სწორნაკვთებიანი სახე გასხივოსნებული იყო დიდი შავი თვალებით, ისინი ასხივებდნენ სიკეთესა და სიმშვიდეს".

შემდგომში ერთხელაც მოინახულა ლადო გუდიაშვილმა ფიროსმანი, ახლა უკვე დავით კაკაბაძესთან ერთად. ნიკო მედუქნე ბეგო იაქიევის სარდაფზე მიშენებულ ხუხულაში იწვა. ხუხულა სავსე იყო ღვინის კასრებით, ჰაერი გაჟღენთილი იყო ძმრის მჟავე სუნით. ავადმყოფობით დაუძლურებული ფიროსმანი ძლივს წამოუდგა სტუმრებს. თავი მაინც მშვიდად და ღირსეულად ეჭირა, ცდილობდა, გამასპინძლებოდა კიდეც სტუმრებს. დავით კაკაბაძემ თავისი პორტრეტის დახატვა სთხოვა, შესთავაზა ფულიც, თანაც რამდენსაც ნიკო მოითხოვდა. მაგრამ ნიკომ ფულის ხსენებაზე ხელები გაასავსავა – მეგობარი მხატვრისათვის ფულის გამორთმევა როგორ შეიძლება! მოვლონიერდები ცოტა და მაშინ დაგხატავ, კარგად დაგხატავო.

ეს არის ფიროსმანის უკანასკნელ მხილველთა ცნობა. 1918 წლის ზაფხულში მალაკნების ქუჩაზე მდებარე სარდაფიდან აგონიაში მყოფი ნიკო ვილაც ნაცნობმა საავადმყოფოში წაიყვანა. მეორე დღეს ნიკო გარდაიცვალა. დამარხეს უპატრონოდ. არავის გაუყოლებია მისთვის ერთი ყვავილიც კი. არავის დაუმახსოვრებია მისი საფლავი, ის დღესაც არ არის აღმოჩენილი...

ფიროსმანის პოპულარობა კი დღითიდღე იზრდებოდა, მისი სურათების შეგროვება ეროვნულ საქმედ იქცა. საამისოდ გამორჩეული ღვაწლი მიუძღვით პოეტებს – ცისფერყანწელებს. მათ 1926 წელს ფიროსმანზე 200-გვერდიანი მონოგრაფია გამოსცეს ქართულად, რუსულ და ფრანგულ ენებზე. მონოგრაციას ერთვოდა 5 ფერადი და 48 შავად დაბეჭდილი რეპროდუქცია. ეს წიგნი მაშინვე იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად.

1930 წლიდან ახალი ეპოქა იწყება ფიროსმანისათვის. მისი დიდი პერსონალური გამოფენები მოეწყო თბილისში, (ორჯერ). ლენინგრადში, მოსკოვში, ოდესაში, კიევში, ხარკოვში. მასზე უკვე ბევრი გამოჩენილი ხელოვნებისმცოდნე წერს. უწოდებენ „კლასიკოს მხატვარს" (დ. დევისი), „ეროვნული კულტურის ახალ აღმომჩენს (პეტროვი), ადგილს უძებნიან მსოფლიოს გამოჩენილ მხატვართა შორისაც: „ფიროსმანის სურათები ეხმაურებიან მსოფლიოს უდიდეს მხატვართა ძიებებს" (ვ. პოლონსკი).

ომის შემდგომ წლებში ხომ ტრიუმფულ სვლას იწყებს ფიროსმანი. მის შემოქმედებას ეცნობიან ბუდაპეშტში, ვარშავაში, პრაღაში. ეწყობა გამოფენა პარიზშიც, ლუვრში. ფიროსმანის გრაფიკულ პორტრეტს ხატავს დიდი პიკასო. იწერება მრავალი წერილი და მონოგრაფია. 1983 წელს გამომცემლობა „ავრორა" ოთხ ენაზე (რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სცემს ე. კუზნეცოვის მონუმენტურ მონოგრაფიას – „ნიკო ფიროსმანი"....

# ოდოშხერი



*12 წლის ლევან შოშიაშვილი, თბილისის 92-ე სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეა. როგორც თავად ლევანი ამბობს, კარგად სწავლობს. უყვარს სიმღერა, ფეხბურთი, ჭიდაობა, ლექსების წერა, იგავ-არაკები. აქვს დადებითი და უარყოფითი თვისებები (ამასაც თვითონ ამბობს), არის ბუტია, მაგრამ ცდილობს ეს თვისება გამოასწოროს. უყვარს ადამიანის შენდობა, პატიება. სწამს, რომ რამდენ ადამიანსაც შეუნდობ, იმდენ ცოდვას შეგინდობს ღმერთი. არის მომთმენი. უყვარს შრომა, ადამიანები, მათთან ურთიერთობა, ცხოველების მოვლა, სიკეთის კეთება.*

## კავკასიონი

კავკასიონი მეფე არის კავკასიისა,
თეთრი მყინვარი თავზე დაუდგამს
როგორც გვირგვინი.
კავკასიონი, ეს ბუმბერაზი დევივით მთაა,
ამაყად დგას და თავის სამეფოს
ჩუმად გასცქერის.
მთაგრეხილები თითქოს მხრებია
კავკასიონის,
თეთრი თოვლი კი ისე ბრწყინავს,
ვით სამკაული,
კავკასიონი მეფე არის კავკასიისა,
ამაყად დგას და საქართველოს
ჩუმად გასცქერის.

* * *

... გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას,
დაგინახავ, წყაროსთან რომ ზიხარ.
ჩამოვირბენ ერთ პატარა მთიდან,
და გეტყვი, რომ შენთან ყოფნა მინდა.
პაწაწინა, თავდახრილო იავ,
გამიღიმე, რად ხარ მოწყენილი?
რაც მოვედი, მოგიჯექი გვერდით,
წყაროსთან ხარ, რაღაცაზე სტირი.

... მე მივყვები შლამიან ნაპირს,
რომლის იქითაც ზღვა გაჭიმულა.
ნელი ქარია, არაფერს მავნებს,
ზღვის ტალღები კი აღელვებულა.
ვხედავ აგრეთვე დიდ, შავ ტირიფებს,
ზღვის ნაპირებში რომ ჩაძირულა,
აქაფებული ლურჯი ტალღები
სულ თოლიებად მეჩვენებოდა.

* * *

თბილი ღამეა, ლამაზი მთვარე,
წვრილი ვარსკვლავნიც გაბრწყინებულან,
და ყველას სძინავს, ყველა სულიერს,
ირგვლივ სიჩუმე გამეფებულა.
არ არის ქარი, ნისლი, ღრუბელი,
ხეთა ფოთლებიც გაჩუმებულან,
შემოდგომაა ალერსიანი
და არემარე ჩაწყნარებულა.

* * *

შემოდგომაა,
ფოთოლცვენაა,
სულს სტკივა რაღაც,
შემოდგომაა...
ხეთა ფოთლები,
ეცემა ირგვლივ
დედამიწაზე,
შემოდგომაა...
შემოგვეჩვია ნისლი,
ღრუბლები,
წვიმა და ქარი,
შემოდგომაა...
გაგვიქრა ხელში
გაზაფხული
მწვანე, წარმტაცი
და ათასფერი,
შემოდგომაა...
ფოთოლცვენაა,
სულს სტკივა რაღაც...



დასანანია, რომ ჩვენი ჟურნალი ფერადი არ არის და ნინო დარბაისელის ნახატებს სრულყოფილად ვერ წარმოგიდგენთ, მაგრამ იმედია, მისი უდავო ნიჭიერების წარმოჩენას ეს ხელს არ შეუშლის. ნინო საგარეჯოს მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლეა. უყვარს ბუნება, მუსიკა, პოეზია და რა თქმა უნდა, ხატვა.







---



ასეთად წარმოუდგენია თბილისის 92-ე სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე ნინო შავეშოვს ურჩხულის შემმუსვრელი წმინდა გიორგი.



ამ ნახატის ავტორი ნატო გოგიშვილი თბილისის 92-ე სკოლის მეოთხეკლასელია.მას ძალიან უნდა, რომ ადამიანებმა ბევრი ეკლესია ააშენონ და ილოცონ.

ოდოშხერი

# მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგიეს..

საოცარია, რამდენ რამეს სწვდებოდა ამ ადამიანის გონება. რამდენი რამის გაკეთება მოასწრო თავისი ქვეყნისთვის, თავისი ხალხისთვის...

გიორგი ნიკოლაძე, გამოჩენილი ინჟინერ-მეტალურგი, მკვლევარი – გეომეტრი, ტერმინოლოგი, გამომგონებელი, სპორტსმენი, გარდა იმისა, რომ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, საუცხოო გარეგნობის ვაჟკაცი იყო, უწინარეს ყოვლისა, შესანიშნავი მოქალაქე და ადამიანი გახლდათ. როგორც ჭეშმარიტ მამულიშვილს, მას ყველაფერი აინტერესებდა, რაც მისი ქვეყნის კულტურული და ეკონომიკური დონის ამაღლებას ემსახურებოდა.

გიორგი ნიკოლაძე დაიბადა 1888 წლის 11 აგვისტოს სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და კრიტიკოსი ნიკო ნიკოლაძისა და მისი დიდად განათლებული მეუღლის ოლღა გურამიშვილის ოჯახში. თბილისის პირველი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გიორგიმ სწავლა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ქიმიურ ფაკულტეტზე განაგრძო და 1913 წელს მეტალურგის სპეციალობით დაამთავრა იგი. 1918 წლამდე ახალგაზრდა ნიკოლაძე მუშაობდა დონბასში, იუზოვკის და ენაკიევოს მეტალურგიულ ქარხნებში, სადაც ზედმიწევნით დაეუფლა საბრძმედე საქმეს. იმავდროულად არც თავის მეორე გატაცებას, გეომეტრიას ივიწყებდა და დაბეჯითებით იკვლევდა გეომეტრიულ პრობლემებს. 1918 წელს გ. ნიკოლაძე საქართველოში ჩამოვიდა. სამშობლოში დაბრუნებული, აქტიურად ჩაება ქართული უნივერსიტეტის შექმნის საორგანიზაციო საქმიანობაში. მაგრამ ვინაიდან უპირველეს ყოვლისა მეტალურგი იყო, გიორგი ნიკოლაძემ საქართველოში მეტალურგიული მრეწველობის განვითარებაზე იწყო ზრუნვა. მან არაერთხელ დასვა მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს წინაშე ქვეყანაში მეტალურგიული მრეწველობის განვითარების აუცილებლობისა და მისი სპეციალიზაციის საკითხი. 1922 წ. გ. ნიკოლაძე საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს კონსულტანტად დაინიშნა და იგი ენერგიულად შეუდგა ფეროშენადნობთა წარმოების აუცილებლობის დასაბუთებას და ორგანიზებას. იმავე დროს იგი უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე ელექტრომეტალურგიის კათედრასაც ხელმძღვანელობდა და ლექციებსაც კითხულობდა მხაზველობით გეომეტრიასა და მეტალურგიაში. 1928 წელს პარიზის მეცნიერებათა აკადემიაში ნიკოლაძემ წაიკითხა მოხსენება მის მიერ გამოგონებული „ელექტრონული არითმომეტრის შესახებ". ქართველი მეცნიერის გამოგონებით მრავალი უცხოური ფირმა დაინტერესდა, მაგრამ გ. ნიკოლაძემ ყველა წინადადება უარყო იმის იმედით, რომ იდეას საქართველოში შეასხამდა ხორცს და ამით დიდ სამსახურს გაუწევდა სამშობლოს. სამწუხაროდ, მოუცლელობის გამო იგი იძულებული იყო, გადაედო ეს საქმე, საბოლოოდ კი გამოგონება მხოლოდღა გამოგონებად დარჩა.

ეს ის პერიოდია, როცა თბილისში, დიდუბეში გიორგი ნიკოლაძის ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით აიგო და ამოქმედდა ფერომანგანუმის საცდელი ქარ-

## გიორგი ნიკოლაძე



ხანა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ფეროშენადნობთა ათვისების საქმეში არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. დიდუბის საცდელი ქარხანაში უამრავი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა, რომლებიც საქართველოში მეტალურგიის აღმავლობას დაედო საფუძვლად.

გიორგი ნიკოლაძე სახელგანთქმული ქართული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანიცაა. შეიძლება ითქვას, რომ გეომეტრიული კვლევა მან დილეტანტის დონეზე დაიწყო, მერე და მერე კი განსაკუთრებული ნიჭისა და შრომის წყალობით ერთ-ერთი წამყვანი მათემატიკოსი გახდა. 1926-1928 წ.წ. ნიკოლაძემ პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში გაატარა, უზარმაზარი შრომა გასწია და 1928 წლის ივნისში სორბონშივე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „გეომეტრიულ ნაკვთთა უწყვეტი სისტემების შესახებ" და საფრანგეთის უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის წოდება მოიპოვა, ამასთან უმაღლესი დახასიათება მიიღო. ნიკოლაძის სადისერტაციო ნაშრომში ცალკე მონოგრაფიის სახით გამოიცა ფრანგულ ენაზე. ამის შემდეგ მისი ნაშრომები იბეჭდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა პრესტიჟულ და სამეცნიერო ჟურნალებში, ქართველ მეცნიერს იწვევდნენ მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებზე.

საქართველოში დაბრუნებული მეცნიერი თბილისის უნივერსიტეტში კითხულობს ანალიზურ და დიფერენციალურ გეომეტრიას, უმაღლესი გეომეტრიის სპეციალურ კურსებს, აარსებს პირველ გეომეტრიულ სემინარს, ჰქმნის პირველ ქართულ სახელმძღვანელოს დიფერენციალურ გეომეტრიაში, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგღა გამოიცა.

გიორგი ნიკოლაძის მრავალმხრივი მოღვაწეობის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მონაკვეთია ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შედგენა. სასიქადულო მამულიშვილს ძალიან აწუხებდა ის გარემოება, რომ თუმცა ქართულ უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს თუ სპეციალურ სასწავლებლებში საგნები ქართულ ენაზე ისწავლებოდა, ეროვნული ტერმინოლოგია არ არსებობდა. გიორგი ნიკოლაძის და მისი თანამოაზრეების ძალისხმევით და გატაცებული შრომის შედეგად 1920 წლისთვის გამოიცა კოლექტიური ნაშრომი „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი". სწორედ ამ ლექსიკონის შემდგენელთა წყალობით დამკვიდრდა ქართულ ენაში ისეთი სიტყვები, როგორიცაა: წნევა, დენი, ძრავა, სინჯარა, ხრახნი, ნათურა, მართი კუთხე, ფართი, ფარდობა, ტოლობა, შუქფარი, ტოლგვერდა, ჯერადი, წნეხი და უამრავი სხვა. ამ ტერმინთა უმრავლესობის ავტორი უშუალოდ გიორგი ნიკოლაძეა.

გ. ნიკოლაძეს უნდა ვუმადლოდეთ საქართველოში სატანვარჯიშო ტერმინოლოგიის შექმნასაც. მისი შემოღებულია ტერმინები: ქნევი, წინხტომი, უკუხტომი, ღუნი, ზეხტომი და სხვა. სპორტს ძალზე დიდი ადგილი ეკავა გიორგი ნიკოლაძის ცხოვრებაში. საუცხოო ტანმოვარჯიშემ და ალპინისტმა, მან ნათელი კვალი დატოვა ქართული სპორტის ისტორიაში. 1912 წელს გამართულ ტანმოვარჯიშეთა ფორუმზე გიორგი ნიკოლაძემ 2000 კაცს შორის მე-15 ადგილი დაიკავა, შავ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ დიდებულ ქართველ ვაჟკაცს ისე მოუხიბლავს პრალელები, რომ მისი პორტრეტი მრავალ გაზეთს დაუბეჭდავს. გიორგი ნიკოლაძემ და გიორგი ეგნატაშვილმა 1918 წელს დააფუძნეს ქართული ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენი". 1920 წელს ნიკოლაძე სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს ჩემპიონი გახდა.

გიორგი ნიკოლაძის სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე მასობრივი ალპინიზმის განვითარება. 1923 წლის აგვისტოში მისი ხელმძღვანელობით მყინვარწვერზე ავიდა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტ-მასწავლებელთა პირველი ჯგუფი. ამ ისტორიულმა ასვლამ დასაბამი მისცა მასობრივ ალპინიზმს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეზე. ასევე დიდია გ. ნიკოლაძის ღვაწლი ჩვენი სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებაში. ბაკურიანში სამთო-სათხილამურო ბაზის აგებაც ხომ მისი იდეა იყო...

ვინ იცის, კიდევ რამდენის გაკეთებას შეძლებდა, მაგრამ არ დასცალდა, სრულიად ახალგაზრდა, 42 წლისა გარდაიცვალა. დიდუბის ფეროშენადნობის საცდელ ქარხანაში მუშაობის დროს გაცივდა, ფილტვების ანთებით გახდა ავად და 1931 წლის 5 თებერვალს გარდაიცვალა. დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

***

# რასაც მხოლოდ დღიურს განდობდი

***

როგორც კი გამჟღავნდება, რომ რომელიმე ჩვენგანს ბიჭი უყვარს, მასწავლებლები სულ იმას გვიჯავრდებიან, რა დროს თქვენი სიყვარულია, ჯერ სწავლაზე უნდა იფიქროთო. იგივეს გვიჩიჩინებენ მშობლებიც: ისწავლეთ და სიყვარულზე მერე იფიქრეთო. ნეტავ, რატომ ჰგონიათ მასწავლებლებს ან მშობლებს, რომ სიყვარული სწავლაში ხელს გვიშლის? პირადად მე, მაგალითად, პირიქით, მეხმარება. ვცდილობ, რომ ყველაფერში კარგი ვიყო, რათა იმ ბიჭსაც (სახელს ვერ გეტყვით) შევუყვარდე.

*მზეონა, 13 წლის.*

მზეონა, ჩვენც გეთანხმებით, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სიყვარული მართლაც ეხმარება შენს თანატოლებს — უფაქიზებს სულს, აფიქრებს საკუთარ ნაკლოვან მხარეებზე. უბიძგებს თვითსრულყოფისაკენ... მაგრამ...

სადღაც, ალბათ, არც მშობლებს გაემტყუნებათ, მათ ეშინიათ, რომ შეიძლება სიყვარული ისე მოეძალოს გოგონას თუ ბიჭს, რომ ყველაფერი დაავიწყოს, თავგზა აუბნიოს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, გონიერება მართებთ, ისინი აუცილებლად გაგებით უნდა მოეკიდონ იმ ამბავს, რომ მოზარდს ეს შეუდარებელი გრძნობა ეწვია და სათუთად, თანაგრძნობით მოეკიდონ მის სულიერ მდგომარეობას.

* * *

შემოდგომაზე მე და ჩემი საუკეთესო მეგობარი მისი ბიძაშვილის დაბადების დღეზე ვიყავით. იქ მე ერთი ბიჭი გავიცანი, რომელიც ძალიან მომეწონა. როგორც გამოირკვა, იმასაც მოვეწონე, მირეკავს, რამდენჯერმე შევხვდით კიდეც. სულ მალე გავიგე, რომ ის ჩემს მეგობარსაც მოსწონს. ძალიან შევწუხდი, არ ვიცი რა ვქნა, როგორ მოვიქცე. არც მეგობრის დაკარგვა მინდა და იმ ბიჭის მიმართაც სერიოზული გრძნობა გამიჩნდა.

*თიკო, 15 წლის.*

საჩოთირო მდგომარეობაში აღმოჩენილხარ, მაგრამ საგანგაშო არაფერია, ასეთი რამ ხშირად ხდება. რამდენადაც ვხვდებით, შენმა საუკეთესო მეგობარმა არაფერი იცის შენი და იმ ბიჭის ურთიერთობის შესახებ. დაელაპარაკე მას, გაუმხილე შენი გრძნობები. ადვილი შესაძლებელია, მას უბრალოდ მოსწონს ის ბიჭი და გულში არაფერი აქვს. ასეც რომ არ იყოს, როცა თქვენი ურთიერთსიმპათიების ამბავს გაიგებს, ალბათ, შენს მეტოქეობას აღარ მოინდომებს. ნებისმიერ შემთხვევაში გირჩევთ, გულახდილად დაელაპარაკო შენს მეგობარს, იგი უთუოდ გაგიგებს.

* * *

შარშან ერთი თანაკლასელი გაგვითხოვდა. ერთი ამბავი ატყდა, ჩვენი მშობლებიც გადაირივნენ და მასწავლებლებიც. ასე გამოაცხადეს, თუ თვითონ არ წავა სკოლიდან, გავრიცხავთო, ცხადია, თეონა (სახელი მოგონილია) სკოლაში აღარ გაჩერებულა, ახლა ის უკვე შვილს ელოდება. კლასი ორად გაიყო, ნაწილი იმასხის, თეონამ სისულელე გააკეთა, მთელი ცხოვრება გაიფუჭაო, სხვები კი პირიქით, იცავენ, ძალიან კარგადაც მოიქცა, უყვარდა და როდემდის უნდა მოეთმინაო, არაფერი არ უჭირს ახალგაზრდა დედა იქნებაო...

თქვენი აზრი მაინტერესებს.

*მარიკა, 15 წლის.*

თეონა ნამდვილად აჩქარებულა, არა გვგონია 14 წლის გოგონას გათხოვება მოსაწონა ნაბიჯი იყოს. ადრეულ ასაკში გათხოვება მრავალმხრივ არის გაუმართლებელი. მას ძალზე ბევრი უარყოფითი მხარე ახლავს თან. დავიწყოთ ჯანმრთელობით — კი, შეიძლება, ფიზიკურად ქალიშვილის სხეული მომწიფებული იყოს სქესობრივი ცხოვრებისათვის,მაგრამ ნაადრევად დამდგარი ქალობა საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმზე, ფსიქიკაზე. ახლა ის პასუხისმგებლობაც გავიხსენოთ, რაც გათხოვილ ქალს ეკისრება. მარტო ქმარ-შვილის მოვლა რად ღირს? განა შეძლებს 15 წლის ცოლი და დედა ოჯახის პატრონობას? რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, რომ მისი საკუთარი მშობლებიც და დედამთილ-მამამთილიც ყოველმხრივ ეცდებიან ხელი შეუწყონ და საქმე გაუადვილონ, შვილების გაზრდაში მიეხმარონ, მაგრამ როდემდის...

აქ შევწყვეტთ იმიტომ, რომ ამ თემაზე ჩვენ ცალკე და უფრო ვრცლად ვაპირებთ საუბარს, რომელშიც სხვადასხვა სპეციალისტები, მშობლები და მასწავლებლებიც მიიღებენ მონაწილეობას.

# საკონტროლო წერა თემაზე:

# ნატვრისთვალი რომ მქონდეს...

## წერენ თბილისის 92-ე სკოლის მოსწავლეები

მე რომ ნატვრისთვალი მქონდეს, ვთხოვდი, რომ გამოვსულიყავი კარგი ფეხბურთელი. ვთხოვდი, რომ მყავდეს პატარა ლეკვი. მეტი არაფერი არ მინდა, ერთის გარდა – ქვეყანაში რაც მათხოვრები არიან, ყველას ჰქონდეს სახლ-კარი და არ იყოს ქვეყანაზე მათხოვარი.

*ლევან ქავთარაძე, მე-4 კლასი*

ძალიან კარგი იქნება, ნატვრისთვალი რომ მქონდეს. მე ვინატრებდი, რომ პირველ რიგში ჩემი მშობლები იყვნენ კარგად. შემდეგ ვისურვებდი, რომ კარგად ვისწავლო, სულ ხუთებზე და დედა გავახარო. შემდეგ დავეხმარები იმათ, ვისაც ფული არ აქვთ. რომ გავიზრდებოდი, სამუშაოს ვინატრებდი. შემდეგ სკოლას ავაშენებდი, მასწავლებელი გავხდებოდი და მოსწავლეებს ვასწავლიდი. ვისაც რა დასჭირდებოდა, ყველაფერს ვაჩუქებდი. შემდეგ მონასტრებსაც ავაშენებდი, აქ, თბილისში, წმინდა მარიამის სახელობის მონასტერს. მე ძალიან მინდა, რომ ნატვრისთვალი მქონდეს. გავაკეთებდი ყველაფერს სასიკეთოს სხვისთვისაც და ჩემთვისაც.

*თამარ ინასარიძე, მე-6 კლასი*

ნატვრისთვალი რომ მქონდეს, ვინატრებდი, ამსრულებოდა ყველა სურვილი. წავსულიყავი, სადაც მინდა, მემოგზაურა ბევრ ქვეყანაში, საკუთარი თვალით მენახა მსოფლიოს შვიდი საოცრება. რაკეტით შემომეფრინა დედამიწისთვის.

ნატვრისთვალი რომ მქონდეს, დავეხმარებოდი ყველა გაჭირვებულს, მოვარჩენდი ყველა ავადმყოფს. ვისურვებდი, რომ ამ ქვეყანაზე სიმშვიდე ყოფილიყოს, ყველა კეთილი და ლამაზი იყოს. არ დავუშვებდი, რომ ყოფილიყო ომი. ვინც კანონს დაარღვევდა, სასტიკად დავსჯიდი. კიდევ ძალიან ბევრს ვინატრებდი.

*თამუნა ნატროშვილი, მე-6 კლასი*

ბევრჯერ მიოცნებია ნეტავ, ახლა ნატვრისთვალი მქონდეს-მეთქი.

რაც ვიზრდები, მით უფრო მეტი ოცნება მებადება, მაგრამ ჩემი ბავშვური ოცნება ყოველთვის თან მდევს. როდესაც მეტროში ვზივარ და ვუყურებ ჩემხელა ბავშვებს, თუ როგორ თხოულობენ ჩვენგან პურის ფულს, რომ ლუკმა პური იშოვნონ. ჩვენ პატარა საქართველოში რამდენი მკვლელობებია, რამდენი გაჭირვებულია. თითქმის ყველა ოჯახს უჭირს. მე რომ ნატვრის თვალი მქონდეს, მხოლოდ ერთ სურვილს ავისრულებდი. ჩემი სურვილია, რომ საქართველო სულ აყვავებული მენახოს და ჩვენ, ბავშვებს, უზრუნველყოფილი ცხოვრება გვქონდეს და ამ გაჭირვებას ბოლო მოეღოს.

*ლელა სამყურაშვილი, მე-6 კლასი*

მე რომ ნატვრისთვალი მქონდეს...

ნატვრისთვალს შეუძლია ყველა სურვილი შეგვისრულოს. მე რომ ნატვრისთვალი მქონდეს, ვისურვებდი ექიმობას. ექიმი იმიტომ მინდა გამოვიდე, რომ ყველა ავადმყოფი ადამიანი მოვარჩინო.

*ლელა ხიხაძე, მე-4 კლასი.*

ნატვრისთვალი რომ მქონდეს, ჩემს ბავშვურ სურვილებს ავისრულებდი. მე ძალიან მიყვარს თოჯინები და ფუმფულა სათამაშოები, ვინატრებდი სათამაშოებს, ნაირ-ნაირს და ლამაზს, კიდევ – ფერად საბავშვო წიგნებს, ასევე რელიგიურ წიგნებს. მინდა, რომ საკუთარი ეკლესია ავაშენო. მყავდეს ბერები და მონაზვნები. შევუძინო მათ საკვები, სანთლები და ასევე სხვა საჭირო ნივთები. შევაკეთო ეკლესიები და ასევე სხვა შენობები. ასევე ვისურვებდი საქართველოს აყვავებას. ქართულ ფეხბურთს არ ჰქონდეს პრობლემები. ასევე ჩემი ოცნებაა, გავხდე მხატვარი მოდელიერი, მყავდეს მანქანა და პატარა ფუმფულა ძაღლი, თეთრი, ვარდისფერზოლებიანი პატარა ფისუნა. ასევე მინდა ჯანმრთელად და ბედნიერად ვიყო. მყავდეს ცხენები და სხვადასხვა ცხოველები, მოლაპარაკე თუთიყუში, მქონდეს მცენარეები. მინდა მოგზაურობა და ახალი რაიმეს აღმოჩენა, არქეოლოგიურ გათხრებში მო-

ნაწილეობა და საკუთარი თვითმფრინავი და ნახატთა გალერეის გამოფენა.

მინდა, ვიცოდე მრავალი ენა, მქონდეს კონტაქტი მსოფლიოს სხვადასხვა ფეხბურთელებთან, კინომსახიობებთან, მომღერლებთან და მოდელებთან. მე ასეთი ოცნებები მაქვს. ძალიან მინდა, რომ ამისრულდეს.

*ქეთევან ერქომაიშვილი, მე-6 კლასი*

ვინატრებდი, რომ ბედნიერი ვიყო და ჩემი სურვილი ამისრულდეს. ჩემი სურვილია მე და ჩემი შეყვარებული ბედნიერები ვიყოთ. მე არ მინდა, რომ მივატოვო ჩემი თანაკლასელები, ჩემი მასწავლებლები, ჩემი მშობლები. სოფიკომ რომ არ შემიყვაროს, ჩემი სურვილი არ ასრულდება. მე ბევრი სურვილი მაქვს, მაგრამ ეს ჩემი ბოლო სურვილია.

*ტარიელ შამოევი, მე-4 კლასი*

მე რომ ნატვრისთვალი მქონდეს, ვინატრებდი, რომ ყველა გამხდარიყო ღმერთის თაყვანისცემელი, დედამიწაზე მშვიდობა დამყარებულიყო, აღარ ყოფილიყო უმუშევრობა, შიმშილი. ბავშვებს ექონოდა ბედნიერება, ტკბილი ბავშვობა. რაც მთავარია, არ ყოფილიყო კაცობრიობის ყველაზე დიდი მტერი – სიკვდილი. მოკლედ, ყოველივე იმას ვინატრებდი, რასაც გვპირდება მომავალში ღმერთი თავის საყვარელ ძე იესო ქრისტესთან ერთად.

*ელენე საგაშვილი, მე-4 კლასი.*

ჩემი სანუკვარი ოცნებაა, რომ მათხოვრები აღარ იყვნენ. მე რომ მქონდეს ფული, ყველა მათხოვარს დავურიგებდი. მინდა, ჩემი ოჯახი იყოს ბედნიერი, ჯანმრთელი.

მე მინდა ვიყო სამაგალითო, ბეჯითი, ბედნიერი, და თუ მეყოლება შვილები, ვიყო კარგი დედა.

*ნანა ბერაძე, მე-4 კლასი.*

ნატვრისთვალი რომ მქონდეს, პირველ რიგში ვინატრებდი, რომ საქართველო აყვავებულიყო, ყველა ადამიანი ყოფილიყო კეთილი და მორწმუნე, ღმერთის თაყვანისმცემელი. ყველას ერთმანეთი ჰყვარებოდა. საქართველო ყოფილიყო მსოფლიოში ყველაზე ლამაზი. ყველას ჰქონოდა ფული, რომ რაც მოესურვებოდა, ეყიდათ. ყველა ადამიანი ჯანმრთელი ყოფილიყო ბევრი ეკლესია და ტაძარი აეშენებინათ და იქ ევლოთ ადამიანებს. ყველას ყველაფერი ჰქონოდა.

*შალვა ფარულია, მე-6 კლასი*

მე რომ ნატვრისთვალი მქონდეს, ვინატრებდი, ტყუპის ცალი მყავდეს. ერთად ვითამაშებთ, ერთად ვიმეცადინებთ, ერთმანეთს შევეჯიბრებით სწავლაში. ჩვენ ვერავინ გაგვარჩევდა, ყველგან ერთად ვივლიდით. ძალიან მხიარული ვიქნებოდი. მაგრამ ეს არასოდეს იქნება, იმიტომ, რომ უკვე გვიანია.

*სოფიო ნაზარიანი, მე-6 კლასი.*

მე ნატრისთვალი რომ მქონდეს, პირველ რიგში ვინატრებდი იმას, რომ დედმამა, ძმა და ნათესავები კარგად და ბედნიერად იყვნენ. კიდევ ვინატრებდი, რომ ყველა ბოროტი ადამიანი კეთილი გამხდარიყოს. მე ნატვრისთვალი, რომ მქონდეს, ფულს ვინატრებდი და ამ ფულით ღარიბებს სახლს ავუშენებდი. ვინატრებდი, რომ გავმგზავრებულიყავი ეიფელის კოშკის და დისნეილენდის სანახავად.

*თამარ ბარათაშვილი, მე-6 კლასი.*

მინდა ვიყო ხუთოსანი, ყველაფერში ხუთი გამომყვეს. მინდა მყავდეს ყველა ხუთოსანი ამხანაგი. მე დიდი რომ გავიზრდები, მინდა გავხდე მასწავლებელი და მყავდეს კარგი მოსწავლეები და ყველა ხუთოსანი იყოს. მე მინდა მყავდეს 30 მოსწავლე.

*თამუნა ბარბაქაძე, მე-4 კლასი.*

ჩემი სურვილია საქართველოში აღარ იყვნენ მათხოვრები, უფრო მეტმა ადამიანმა მოინანიოს თავისი ცოდვები, ყველა ოჯახში თანაბარი ფული და ბედნიერება იყოს და ადამიანებს უყვარდეთ ერთმანეთი. მართალია, ბევრი სურვილი მაქვს, მაგრამ იმედია, დროთა განმავლობაში ყველა სურვილი ამისრულდება.

*ანა ჩიქოვანი, მე-6 კლასი*

მე რომ ნატვრისთვალი მქონდეს, მოვახდენდი ბევრ სასწაულს. ნატვრისთვალით ბევრ გაჭირვებულ ადამიანს დავეხმარებოდი. ყველას პრობლემას გადავწყვეტდი და მეც კარგად ვიქნებოდი. ნეტავ, ბოროტება ამქვეყნად არ არსებობდეს, და მაშინც, ჩვენ ნამდვილ სამოთხეში ვიქნებოდით.

*ლელა ყატაშვილი, მე-6 კლასი*

მოამზადა ნანა გოგოლიძემ



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვინ როგორ ბუდეს იშენებს

ახლა ზამთარია და ფოთლებშემოძარცულ ხეებზე კარგად მოჩანს ნახევრადჩამოშლილი ან თითქმის მთლიანად დანგრეული ფრინველთა ბუდეები. ზოგი მათგანი მარტო ამინდისგან როდია დაზიანებული — მოუსვენარი, ხმაურიანი ბარტყებიც არ აყრიდნენ კარგ დღეს საკუთარ საცხოვარს. ნეტავ ვისია, ვინ ცხოვრობდა თუნდაც კუნლის ტოტებში კოხტად ნაქსოვ თუ ალვის კენწეროში ჩადგმულ ბუდეებში?



ადვილი გამოსაცნობია კაჭკაჭის ბუდე. თუ სადმე, ეკლიან ბუჩქნარში თუ მომცრო ნაძვებზე, ფიჭვებსა და ტირიფებზე მასიურ ბურთის ფორმის ბუდეს გადააწყდებით, იცოდეთ, რომ ეს ენაჭარტალა კაჭკაჭის ნახელავია. ლამაზმა ფრთოსნებმა ქალაქის ბაღებსა თუ პარკებშიც მოიკიდეს ფეხი. კაჭკაჭი ბუდეს უფრო ხშირად მიწიდან 1,5-7 მეტრის სიმაღლეზე იკეთებს. წვრილი ტოტებისა და ბალახის ღეროების ღრმა ჯამის კედლებს კაჭკაჭი თიხით ლესავს, სახურავის მასალად წნელებს ხმარობს, ხოლო იატაკისად — ფესვებსა და წვრილ-წვრილ ტოტებს. კარი კაჭკაჭის სახლს გვერდზე აქვს. კაჭკაჭისა და ყვავების ძველ, მიტოვებულ ბუდეებს ოდოდები, მცირე შავარდენები, ბელურისნაირები ეპატრონებიან ხოლმე.

ერთ-ერთი ყველაზე ოსტატურად ნაგები მოლაღურის ბუდეა. ზოგჯერ ხის ტოტის ოდნავ გადაწევაც კმარა საგულდაგულოდ დაწნული პატარა კალათის დასანახად. საერთოდ კი მოლაღურის ბუდე ადამიანის სიმაღლეზე ზევით არის ხოლმე განლაგებული. იგი ორკაპ ტოტზე ჩამოკიდებულ მოყვითალო-მომწვანო ჰამაკს წააგავს. მოლაღური ბუდეს დაფნის დაძენძილ ბოჭკოებისგან და ბალახის ღეროებისგან წნავს. რემეზის ბუდე გადახურულია. გარდა იმისა, რომ სახურავი კვერცხებსა და ბარტყებს ავდრისგან იცავს, მისი წყალობით ზევიდან ბუდე ნაკლებად შესამჩნევია. ეს მოკლე, ცალსახელო მიწნული ფუმფულა გუნდა ტირიფის, ალვის ან არყის ხის წვრილ ტოტზეა ხოლმე ჩამოკიდებული. ბუდის დაწვნას მამალი რემეზი იწყებს, რომელიც ჭინჭრის გრძელი მოქნილი ღეროებისგან, მარცვლეულის ფოთლებისაგან ამზადებს კარკასს, დედალი კი ბუდის საბოლოო მოპირკეთება-გალამაზებაში მონაწილეობს. ბუდის ყველა ჭუჭრუტანა ალვის, ტირიფის, ქაშის ფუმფულა თივთიკით იქოლება. ბუდის აშენება-მოწყობა 3-4 კვირა გრძელდება.



სინეგოგა ფუღუროში იდებს ბინას და როგორც წესი, დიდი ჭრელი კოდალას საცხოვრისს იკავებს ხოლმე. თუ შერჩეული ბინის კარი მეტისმეტად დიდია, ფრინველი მას თიხით ამოლესავს და სამ სანტიმეტრამდე დიამეტრის სწორ ნახვრეტს ტოვებს. ასე გადაკეთებული ფუღურო მტაცებლისთვის მიუწვდომელი ხდება.



სხვანაირია მგლინავას ერთნაირი სიმაღლისა და სიგანის ოდნავ ბრტყელი ბუდე, რომელიც ობობის ქსელით შეერთებული წვრილი ტოტების, ქერქის, დაფნის ბოჭკოების, ვიწრო ფოთლების, ხავსის, ქარაგოზისგან შექმნილ ბაქანზე დევს. ბუდეში დაგებულია მატყლი, ბუმბულები, აბლაბუდა.

შაშვი ფიალის მოყვანილობის საკმაოდ მოზრდილ და მტკიცე ბუდეს იშენებს. თეთრწარბა შაშვი, ანუ ჩიჩხინაკი ხშირად უბრალოდ ტოტებზე კი არ იწყობს ბუდეს, არამედ უფრო მტკიცე საფუძველს ირჩევს და ხან დაფუტუროებული ძირკვის შუაში დგამს მას, ხან ხეების ზროს მსხვილ ორკაპში, ხანაც მიწაზე, ბალახში ან ბუჩქნარში. იმის გამო, რომ ჩინჩხვარისა და ბალახის გამხმარი ღეროებისგან მოწნული ჩიჩხინაკი კედლების გასამაგრებლად მიწასაც ხმარობს, ბუდე მასიური და მძიმე გამოსდის.

ასეთივეა ბოლოშავას ბუდეც. ამ ორი ფინველის ბუდეები იმდენად ჰგავს ერთმანეთს, რომ შეიძლება შეგეშალოთ კიდეც.

შავი შაშვის ახლადაშენებული ბუდეც კი გარედან უშნო და უკოხტაო, ყველა მხრიდან ფოთლები და ფესვებია გამოშვერილ-გამოჩრილი. სამაგიეროდ შავი შაშვის ბინა შიგნიდან არის მოწესრიგებული. ბუდის ძირზე გამხმარი ფოთლები და ბალახია დაგებული.

მგალობელი შაშვი ანუ წრიპა უფრო მეტი გემოვნებით გამოირჩევა. მას ახალგაზრდა ნაძვებზე უყვარს ბუდის მოწყობა, ამასთან თავის საცხოვრებელს იგი გარედან ხავსით, ქარაგოზითა და გამხმარი ფოთლებით რთავს, შიგნიდან კი ყვითელი ფერის ხის ნაფშვნეტით ლესავს.



ასპუჭაკები მომცრო, კოხტა ბუდეებს იშენებენ. თუმცა ბალახის ღეროებისგან, წვრილი ტოტებისგან, ფესვებისგან ამოშენებულ ხახუტ კედლებს სინათლე გასდის, მთლიანობაში ბუდე მაინც ლაზათიანია.

განსაკუთრებით ლამაზია მწვანე მქირდავას ბუდე. ბალახის ფოთლებისა და ღეროებისგან მჭიდროდ ნაქსოვი, კონუსისებრი ბუდის კედლები ჩაწნულია ორკაპის წვრილ ვერტიკალურ ტოტებში. ბალახის ღეროები ბოჭკოებით, ობობას ქსელის ძაფებით არის შეკრული. გვერდებზე და ძირზე ჩამოკიდული არყის ხის ქერქი კარგად ნიღბავს ბუჩქნარში, შოთხვზე, ცირცელზე განლაგებულ ბუდეს. ზოგჯერ პატარა მქირდავა ქალაქის პირობებში თითქმის მთლიანად ბამბის, ქაღალდის და ქსოვილის ნაგლეჯებისგან იშენებს ბუდეს.

კოჭობას ბუდე უხეშად არის ნაგები, მსხვილი ღეროების ბოლოები ყველა მხრიდან არის გამოჩრილი, შიგნით კი არც ბუმბულია დაგებული და არც მატყლი. ეს ჩიტი სამოსახლოდ ნესტიანი მინდვრების ბუჩქნარს, ტირიფსა და შოთხვს ირჩევს.

მეგაზაფხულე ყორანა ისე ოსტატურად ნიღბავს თავის ბუდეს, რომ შემთხვევით თუ გადააწყდებით. დედალი ყორანა მიწაზე, ბალახში, ხავსში, ხის ან ძირკვის ძირში აშენებს მას. იგი ჯერ ნისკარტით პატარა ღრმულს ამოწიწკნის, ამოკორტნის, მერე ხმელი ბალახის ღეროებისგან წნავს ბურთს. ზოგჯერ საშენ მასალად ბალახის გარდა, ხავსს, ფესვებს, გვიმრის ფოთლებსაც იყენებს. ბუდეს ზევიდან ბალახი და პატარა ბუჩქები ფარავს. შესასვლელი კი გვერდიდან აქვს.





ეროვნული ბიბლიოთეკა



# საშობაო დღესასწაული კლუბში „ფლორო“







ნუ გაიკვირვებთ, თუ შეამჩნევთ, რომ თითქმის ყველა ფოტოსურათზე ბავშვებთან ერთად ერთი ქალბატონიც იქნება აღბეჭდილი. ეს ქალბატონი ლამარა ცუცქირიძე გახლავთ, ხოლო საქმე ის არის, რომ როგორც კი თბილისის ნაძალადევის რაიონის მოსწავლეთა სასახლეში არსებულ კლუბში „ფლორო“ საშობაო დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტი დამთავრდა, მას შემდეგ, რაც საგანგებოდ მოწვეულმა ფოტოგრაფმა რამდენიმე საერთო სურათი გადაიღო, თანატოლთაგან ყველაზე თამამი გვერდში ამოუდგა ლამარა მასწავლებელს და მასთან ერთად სურათის გადაღება სთხოვა. აბა უარს როგორ ეტყოდა, როცა თავისი მოსწავლეებისთვის ამქვეყანაზე არაფერს იშურებს?! ამხანაგს რომ შეხედეს, სხვებმაც მოინდომეს საყვარელ მასწავლებელთან სურათის გადაღება და...

დღეს კლუბში „ფლორო“ 70-მდე სხვადასხვა ასაკის ბავშვია გაერთიანებული და თითოეულ მათგანს ერთნაირად მოუხარია





ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა





მეცადინეობაზე, სადაც მსოფლიო ენის, ესპერანტოს გარდა, ლამარა მასწავლებელი ქართულ და მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების ცეკვებსა და სიმღერებს და, რაც მთავარია, სიკეთეს, თანადგომას, ერთგულებას, სიყვარულს, სხვა ხალხების პატივისცემას, სამშობლოს სამსახურისათვის მზადყოფნას ასწავლის. ამ სულისკვეთებით ზრდის ქალბატონი ლამარა ცუცქირიძე გოგო-ბიჭებს აგერ უკვე ოცი წელია და მისი წყალობით მოზარდები მარტო ესპერანტოს კი არ სწავლობენ, არამედ შრომისმოყვარე, ზნეობრივ, განათლებულ, გულისხმიერ, განათლებულ, მაძიებელ, ერთი სიტყვით ისეთ ადამიანე-



# საშობაო დღესასწაული კლუბში „ფლორო“



# საშობაო დღესასწაული კლუბში „ფლორო“



ბად ყალიბდებიან, რომლებმაც დღეს თუ ხვალ, ქვეყნის მომავალი უნდა ჩაიბარონ. სწორედ ასეთებად უნდა იგულოს საქართველომ თათა დურმიშიძე და ლევან კახიშვილი, თეონა, მაია და სოფიკო ჯელაძეები, ნანა ყამარაული, ნათია და ნანა ყეინიშვილები, ხატია ჩოკოლაშვილი, სოფიკო გამყრელიძე, ლიკა ჯანანაშვილი, ნინო, ქეთი და თამრიკო კობახიძეები, გიორგი გაგნიძე, მარიამ გელაშვილი, ტყუპი დები ნინო და ნანა ბარნოვები, მაკა ბარბაქაძე, რობერტ და რამაზ კელაპტრიშვილები, მეგი საღარაძე, შორენა ბარათაშვილი, ნინო ნადირაძე, გვანცა და კახა კახიანები, ნინო ჩიტაური, ნანა ლობჟანიძე, მაკა ბარბაქაძე, თეონა ზარაფიშვილი, ლანა ცარციძე, გურამ ციცქიშვილი, ბექა და ანა კალანდაძეები, არზუ ალიევა, ნინო ახალაია, ნინო და სოფიკო გოგოლაშვილები, ნატო და ლელა კაშიები, ნინო პეტრიაშვილი, კოტე ასლამაზიშვილი, თაკო გოგეშვილი, სოფიკო გამყრელიძე, თამარ ქველაძე, ლიკა საყვარელიძე, გიორგი გაგნიძე და სხვები, ვისაც დიდებული ქალბატონი ლამარა ცუცქირიძე ჭეშმარიტ მოქალაქეებად ზრდის.







# ტესტი

## თინეიჯერებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა არის ნამდვილი სიყვარული?

იქნებ დროა, გაერკვე რატომ მთავრდება წარუმატებლად ყველა შენი სასიყვარულო გატაცება.

სცადე, პატიოსნად უპასუხო შემოთავაზებული ტესტის კითხვებს და თითოეულში პასუხის შენეული ვარიანტი აირჩიო.

ა – სავსებით სწორია. ბ – უმრავლეს შემთხვევაში. გ – ყოველთვის არა. დ – არ არის სწორი.

1. თუ ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, ვერანაირი სისულელე, ვთქვათ, „ხასიათების შეუთავსებლობა", ვერ ჩაშლის მათ ურთიერთობას.

2. ნამდვილ სიყვარულს ერთის ნახვით ვიგრძნობ.

3. თუ სიყვარული ნამდვილია, შეყვარებულებისთვის ერთად ყოფნა ყოველთვის საინტერესოა.

4. თუ ვინმეს შევიყვარებ, უმისოდ ერთ დღესაც ვერ ვიცოცხლებ.

5. თუ ვინმეს ნამდვილად ვუყვარვარ, ყოველთვის მიხვდება, რასაც ვგრძნობ.

6. როცა მართლა გიყვარს, აღარავინ გჭირდება.

7. თუ მართლა გიყვარს, ყოველი თქვენი შეხვედრა აღტაცებას იწვევს.

8. თუ ერთმანეთი მართლა გიყვართ, იმისათვის, რომ ურთიერთობა შეინარჩუნოთ, დიდი ძალისხმევა არ დაგჭირდებათ, რადგანაც თქვენ შორის ყოველთვის ჰარმონია სუფევს.

9. გჯერა, როცა ამბობენ, თვალი თვალს რომ მოშორდება, გულიც გადასხვაფერდებაო?

10. ვისაც მართლა უყვარს, ჭორებსა და ინტრიგებს არასდროს აჰყვება.

*შედეგი*

*1 — 10 (ა — 0; ბ — 4; გ — 8; დ — 10)*

*80 — 100 ქულა*

გილოცავთ! შენ შესანიშნავად ერკვევი სიყვარულში და ისიც კარგად იცი, თუ რა გინდა ცხოვრებაში. რეალისტი ხარ და ადვილად შეგიძლია გაარჩიო ნამდვილი



და მოგონილი სიყვარული.

*60-79 ქულა*

ცუდი არ არის, მაგრამ სიფრთხილეც გმართებს: ზოგჯერ სასურველსა და ნამდვილს ვერ ანსხვავებ. ნუ გაექცევი კონფლიქტურ სიტუაციებს. მაშინაც კი, თუ სიყვარული ნამდვილია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თქვენი ურთიერთობა ყოველთვის იდეალური, დაშაქრული უნდა იყოს.

*40-59 ქულა*

სიმართლე გითხრათ, შენ ცუდად ერკვევი ცხოვრებაში. შენ თვითონ „ურთიერთობის შექმნის" იდეა მოგწონს, და რეალურის ნაცვლად წარმოსახვაში შექმნილ ადამიანს ეტრფი, მოგონილი იდეალი ზეცაში აგყავს, შედეგად კი ისევ გაწბილებული, გულგატეხილი რჩები. რეალობის დანახვას თუ არ ისწავლი, გაგიჭირდება.

*0-39 ქულა*

ფანტაზიების სამყაროში ცხოვრობ, საქმის რეალურ ვითარებაზე ნაკლები წარმოდგენა გაქვს. ყველა წარუმატებლობას შენს „ყოფილ" შეყვარებულებს და უნდობლობას აბრალებ. მეტისმეტად დიდ მოთხოვნებს უყენებ ადამიანებს და ისეთ ურთიერთობებს ეძებ, რომლებიც სინამდვილეში არ არსებობს. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ სულ წარუმატებლობა გდევს თან. მიწაზე უნდა დაეშვა და შეიგნო, რომ ერთმანეთის ნაკლის ურთიერთპატიების გარეშე სიყვარული წარმოუდგენელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ ვამბობთ ასე?



*სამარცხვინო ბოძზე გაკვრა*, სააუგო, სამარცხვინო საქმის გამოაშკარავება, საჯაროდ დაძრახვა. სამარცხვინო ბოძი ხმარებაში იყო ევროპაში 1789 წლამდე. ბოძს ჩამოკიდებული ჰქონდა რკინის საყელური, რომელსაც სიკვდილით დასჯილს ყელზე ჩამოაცვამდნენ და ისე დაჰკიდებდნენ, რათა ყველას ეცქირა და დაეძრახა.

*საყდარში ხატი იპოვა*, ირონიულად: იქ აღმოაჩინა რამე, სადაც ყველას ადვილად შეუძლია რაიმეს აღმოჩენა.

*ტოროლა ჩიტივით დარჩა მარტო, უამხანაგოდ.* ტოროლა სულ მინდვრადაა, ზამთარშიც კი, როცა სხვა ჩიტები მყუდრო ადგილს აფარებენ თავს, ტოროლები ისევ მინდვრად დაფრენენ მარტონი.

*უტარო ცულია.* უმაქნისი, გამოუყენებელი, ყოველგვარ ღირსებას მოკლებულია.

*ხარაზის სუფრა.* სახელდახელო, ღარიბული სუფრა. ძველად ხარაზობა ანუ წაღების კერვა ხელობებში ყველაზე ნაკლებადშემოსავლიანად ითვლებოდა და ვინც ამ ხელობით ირჩენდა თავს და ცოლ-შვილსაც ინახავდა, მცირედს უნდა დასჯერებოდა. ხარაზის სუფრაზე ნახავდით პურს, ხახვს, ღვინოსა და კეთილ გულს. ასეთი სუფრა ყბადასაღები გახდა და გამოთქმაც აქედან წამოვიდა. თუ სუფრა მწირად ეჩვენებოდათ, იტყოდნენ, რა ხარაზის სუფრააო?!

## რა და რა ჰქვია რას და რას

### ტივი




## სიტყვის კონა

კაკაჩი — მთვარით განათებული, კაშკაში მთვარიანი ღამე.

კელაპტარი — ცვილის დიდი სანთელი.

კერკი — წვრილნაყოფიანი კურკოვანი ხეხილის გამხმარი ნაყოფი.

კეხი — უნაგირის ხის ჩონჩხი.

კვირაძალი — კვირა დღის წინა საღამო, შაბათ-საღამო, დაახლოებით მზის ჩასვლიდან.

კოზაკი — აქლემის ნაშიერი.

კოფო — ურმის, მარხილის და მისთანათა ჭალებზე გარდიგარდმო ჩამოცმული ფიცარი. ეტლში — მეეტლის შემაღლებული დასაჯდომი.

კოჭობი — პატარა ქოთანი.

კრიქანგი — ძალიან ძუნწი.

ლირფი — თავხედი, ურცხვი, უტიფარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ო, ეს დაბნეული ამპერი!



სახელგანთქმული ფრანგი მეცნიერი, ფიზიკოსი და მათემატიკოსი, ელექტროდინამიკის ფუძემდებელი, ანდრე მარი ამპერი (1775-1836) მეტად დაბნეული ადამიანი იყო. ერთხელ, ლექციაზე რომ მიიჩქაროდა, სენის ნაპირზე შეჩერდა, თვალი გააყოლა მდინარის ნაკადს, მერე ერთი კენჭი მოეწონა და აიღო. უცებ გაახსენდა, რომ ლექციაზე იყო წასასვლელი.ჯიბიდან საათი ამოიღო და დახედა, მერე კენჭი ჯიბეში ჩაიდო, საათი კი მდინარეში ისროლა.

მეორედ ასეთი ამბავი შეემთხვა: აკადემიაშირომელიღაც მოხსენების მოსასმენად მივიდა. მისთვის განკუთვნილ სკამზე უცხო პიროვნება დახვდა. ამპერმა ბოდიში მოუხადა უცნობს და ხელით ანიშნა სხვა სკამზე გადამჯდარიყო. ირგვლივ მყოფნი შეცბნენ — ის ადამიანი საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტე იყო, ფიზიკოსმა კი ვერ იცნო იგი.

ამპერის მეგობარმა დომინიკ არაგომ იცოდა მისი გულმავიწყობის და დაბნეულობის ამბავი, ამიტომაც როცა იმის შესატყობინებლად მიაკითხა, რომ მეორე დღეს დანიელი ფიზიკოსი ჰანს ერსტედი აკადემიაში თავისი ახალი აღმოჩენის დემონსტრირებას აპირებდა, ცალკე ქაღალდზე საგანგებოდ ჩაუწერა: 1820 წლის 11 სექტემბერი.

მეგობრის გასაოცრად ამპერი დროზე მივიდა აკადემიაში და თავიდან ბოლომდე გულისყურით ადევნებდა თვალს წარმოდგენილ ექსპერიმენტს. ერსტედის აღმოჩენასთან დაკავშირებული ცდის ჩვენება არაგომ იდო თავს.

ყველას მოგეხსენებათ, რომ არსებობს რაღაც კავშირი მაგნიტურ და ელექტრულ ძალებს შორის — დაიწყო არაგომ , — მაგრამ ჩვენ კიდევ არ ვიცით რაში გამოიხატება ეს კავშირი. თქვენ იცით, რომ მეხმა, რომელიც შარშან გემ „პრინც ალბერტს“ დაეცა, სამივე მაგნიტი ისე განამაგნიტა, რომ ერთი მათგანი ჩრდილოეთ პოლუსს სამხრეთისაკენ აჩვენებდა, ხოლო ორი მაგნიტი — დასავლეთისაკენ. ისიც იცით, რომ მეხი, რომელიც პარიზში ბატონ დიუფელის მაღაზიას დაეცა, დანებით სავსე ყუთს მოხვდა და ძლიერ დაამაგნიტა ისინი. დიახ, ყველაფერი ეს კი ვიცით, მაგრამ ვერავინ შეძლო ექსპერიმენტული გზით შეეცვალა მაგნიტური ისრის მიმართულება, როგორც ეს მეხმა მოახდინა გემზე, და ვერც მაგნიტური მოვლენების მიზეზები ახსნა ვინმემ.

— მოვლენა, რომელსაც ახლა გიჩვენებთ, — განაგრძობდა არაგო, — თვალნათლივ ადასტურებს ელექტრო და მაგნიტური ძალების ურთიერთზეგავლენას. ეს ურთიერთზეგავლენა შემთხვევით აღმოაჩინა დანიელმა კოლეგამ პროფესორმა ჰანს ერსტედმა.

აბა, დააკვირდით. მაგიდაზე გვაქვს ვოლტას ბატარეა, დენის წრედი გახსნილია. სადენებს მაგიდაზე ვაწყობ, ერთ მათგანს მაგნიტური ისრის პარალელურად ვდებ. ყველაფერი რიგზეა: ისრის ერთი ბოლო ჩრდილოეთს აჩვენებს, ჯერჯერობით არაფერი არის განსაკუთრებული. ახლა კი წრედს ჩავრთავ და...

არაგომ წრედი შეკრა და ყველას გაოცების შეძახილი აღმოხდა — კომპასის ისარი მკვეთრად გადაიხარა მარცხნივ. მეცნიერები თვალებს არ უჯერებდნენ და დასარწმუნებლად რიგ-რიგობით თავისი ხელით რთავდნენ ელექტროწრედს და თვალს არ აშორებდნენ ისარს. არა, ეჭვი არ იყო: კომპასის ისარი სადენში გამავალი ელექტროდენის ზეგავლენით იხრებოდა.

ამპერი უხმოდ ადევნებდა თვალს კომპასს, მერე კი მოულოდნელად იკითხა:

— რა მოხდება, დენის მიმართულება რომ შევცვალოთ?

არაგომ დენის მიმართულება შეცვალა. ისარი ახლა საწინააღმდეგო მხარეს გადაიხარა, თუმცა კი იმავე ძალით. ამის შემხედვარე ამპერმა ხელი დასტაცა თავის ქუდსა და ჯოხს და სასწრაფოდ დატოვა იქაურობა.

იმავე დღეს ანდრე ამპერის ლაბორატორია ვოლტის დიდი ბატარეით, სხვადასხვა კომპასებით, რკინის ნაჭრებით, სადენებითა და საიზოლაციო მასალებით აივსო. მთელი ერთი კვირა ატარებდა ცდებს მეცნიერი და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ თუ ორ პარალელურ სადენში ერთი მიმართულების დენი გაივლიდა, სადენები ერთმანეთისაკენ მიიზიდებოდნენ, ესე იგი ერთმანეთზე მოქმედებდნენ, ხოლო ელექტროძალა მაგნიტურ ძალად გარდაიქმნებოდა.

არაგოს ექსპერიმენტის დემონსტრაციიდან ერთი კვირის შემდეგ,1820 წლის 18 სექტემბერს, მეცნიერებათა აკადემიის იმავე დარბაზში ანდრე მარი ამპერი წარსდგა თავისი ნაშრომით, რომელშიც გენიალურად ახსნა ელექტრომაგნიტიზმის ძირითადი კანონები, მაგნიტური მოვლენები ელექტრულ მოვლენებამდე დაიყვანა, შექმნა ელექტროდინამიკა.

იმ დღეს ყველასათვის ცხადი გახდა , რომ ელექტრობის შესწავლის დარგში ახალი ერა დადგა.

# ვიქტორინა «ჭკუის კოლოფებისათვის»



1. ოპერა „აიდას" ავტორია დიდი იტალიელი კომპოზიტორი...
ა)... ჯუზეპე ვერდი
ბ)... რუჯერო ლეონკავალო
გ)... გაეტანო დონიცეტი

2. თბილისში, სანაპიროზე აღმართული ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ ძეგლის ავტორია მოქანდაკე...
ა)... ელგუჯა ამაშუკელი
ბ)... ბორის ციბაძე
გ) ... ჯემალ ბჟალავა



3. ილია ჭავჭავაძის საფლავის ძეგლის ავტორი იაკობ ნიკოლაძე იყო დიდი ფრანგი მოქანდაკის ... მოწაფე
ა) ... ოგიუსტ როდენის
ბ) ...ემილ ანტუან ბურდელის
გ) ... ჟან კარპოს



4) სიმბოლური ფიგურა — მარიანა ანსახიერებს ...
ა) ... საფრანგეთს
ბ) ...იტალიას
გ) ... ესპანეთს

5) მითიური დედალოსის შვილი კრეტის ლაბირინთის აშენების შემდეგ მამის დამზადებული ფრთებით მასთან ერთად რომ გაფრინდა, მაგრამ მზეს ძალიან მიუახლოვდა (ცვილის გალღობის გამო ფრთები დასცვივდა), მერე კი ზღვაში ჩავარდა და დაიღუპა, იყო...
ა) ... იდომენევსი
ბ) ... იკაროსი
გ) ... ნიქტევსი

**ვიქტორინის წინა ტურის სწორი პასუხები:**
1. მერაბ ბერძენიშვილი.
2. ბოროდინოს ველზე.
3. ბესარიონ ქებურია.
4. ჩახრუხაძე.
5. ჩარლზ დიკენსი

# რისთვის სჭირდება ლომს მიხაკი

თქვენ გგონიათ, ყვავილები მხოლოდ ჩვენ საამებლად არსებობს? მაგრამ აბა, ასტროლოგებსაც ჰკითხეთ! მათი აზრით, ჩვენი ურთიერთობა ვარდთან, იასთან თუ გვირილასთან ბევრად უფრო ღრმაა. ყვავილების შეჭრა ადამიანის ასტრალური სხეულის ფაქიზ შრეში გრძნობათა ჰარმონიულ რეზონანსს ჰქმნის და აღფრთოვანებულ მდგომარეობაში მოჰყავს იგი. ყვავილები ძალზე მგრძნობიერად რეაგირებენ ჩვენი ორგანიზმის მოთხოვნებზე, ეს კი იმით აიხსნება, რომ თურმე ჩვენ და ისინი სამყაროს ცვლის ერთ საინფორმაციო სისტემაში ვიმყოფებით. მაგალითად, ძველად ინდოეთში სწამდათ, რომ ავადმყოფობა მაშინ ჩნდება, როცა ადამიანის ცოცხალი ქსოვილის რხევები კოსმიურ გამოსხივებასთან არ ჰარმონირებს. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფის ზოდიაქოს ნიშანთან დაკავშირებული ყვავილის ზემოქმედება დაავადების დამარცხებაში ეხმარება მას. ასტროლოგია თითოეულ ნიშანს თავ-თავის მცენარეებს მიუჩენს, რომლებიც ჰარმონიულად აძლიერებენ მის მოქმედებას. ეს კი იმის ხარჯზე ხდება, რომ მცენარის ორგანიზმი თავის სასიცოცხლო ძალას გადასცემს ადამიანს და ამრიგად მაგნეტურად ზემოქმედებს მასზე. ამასთან არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზოდიაქოს თითოეული ნიშანი გარკვეული პლანეტის მიერ იმართება.




ლომის ზოდიაქოს ნიშნის (პლანეტა მზე) ყვავილებია: იორდასალამი, მიხაკი, ჰელიოტროპი და ველური ვარდი. იორდასალამი ავისა და ბოროტისგან იცავს ადამიანს. ჩინეთში ეს ყვავილი დღეგრძელობისა და სიყვარულის სიმბოლოდ ითვლება, იაპონიაში – მოკრძალებულობისა. მონღოლები იორდასალამს წვნიანს უშვრებიან, მის მოხალულ თესლს კი ჩასი ურევენ.

კირჩხიბი (მთვარე): შროშანი, ღუმფარა, ღიღილო, გულყვითელა, იაქუქუნა. იაქუქუნას სამფერი ფურცლები აქვს. მისი გვირგვინის თეთრი ფერი იმედს ანსახიერებს, ყვითელი – გაკვირვებას, იისფერი კი სევდის ფერია. ძველ ბერძნებს ეს ყვავილი სასიყვარულო სამკუთხედის სიმბოლოდ მიაჩნდათ. ხოლო საფრანგეთსა და ინგლისში იაქუქუნას კონა სიყვარულის ახსნას ნიშნავდა.

მარჩბივი და ქალწული (მერკური): კატაბალახა, ორფერი, რეჰანი. კურო და სასწორი (ვენერა): შროშანი, კესანე, მიხაკი, იასამანი, სუმბული, ზამბახი, ზიზილა, ვარდი. ზამბახები უამრავი ფერისაა – ვარდისფერი, ბრინჯაოსფერი, მეწამული, იისფერი, ალუბლისფერი, ლიმნისფერი, ნარინჯისფერი და მოცისფრო-შავიც კი. ძველ ეგვიპტეში ზამბახი მჭევრმეტყველების სიმბოლო იყო. იაპონიაში ბიჭების დღესასწაულზე ზამბახს აუცილებლად გამოხატავდნენ ტანსაცმელსა და სხვადასხვა ნივთებზე. 5 მაისს კი ზამბახის ყვავილისგან ავადმყოფობისგან დასაცავ მაგიურ თილისმას, ე.წ. „მაისის მარგალიტს" ამზადებდნენ, რუსეთში ეს ყვავილი ძვირფასის, საყვარელის და სასურველის სიმბოლოა.

ვერძი (მარსი): თამბაქო, ნიორი, ხახვი, გვიმრა, ნარშავი. ნარშავი ისე ეკლიანი და საშიშია, რომ ღვთისმოსავი წინაპრები მისით ეშმაკების დაფრთხობას ლამობდნენ. ძველად ასე მიაჩნდათ, რომ შინ მიტანილი ნარშავი ავ სულებს სდევნიდა და სახლს სტიქიური უბედურებებისაგან იცავდა, საქონელს კი – ავი თვალისა და დაავადებისგან.

მშვილდოსანი (იუპიტერი): რეჰანი, ლავანდი, ია და ჟასმინი. ბერძნებს მიაჩნიათ, რომ ჟასმინი მათ სიბრძნის ქალღმერთმა ათინამ აჩუქა. დღეს მეცნიერებმა მართლაც აღმოაჩინეს, რომ ჟასმინის სუნი თავის ტვინის ფუნქციებს აღაგზნებს და გამახალისებლად მოქმედებს ადამიანზე. თხის რქა(სატურნი) ყაყაჩო, მანდრაგორი, ლენცოფა. ყაყაჩო უძველესი მცენარეა. მისი თესლი პირველყოფილი ადამიანის სადგომში აღმოაჩინეს. ძველ საბერძნეთში ეს ყვავილი ეძღვნებოდა ღმერთებს ჰიპნოსსა და მორფეუსს. სლავებში ყაყაჩოს მეშვეობით გვალვის დროს წვიმას იწვევდნენ. ციმბირში მას ნეფე-პატარძალს ფეხსაცმელში უყრიდნენ, რათა უშვილონი არ ყოფილიყვნენ.

მერწყული (ურანი): კოწახური, ალპური ვარდი, შროშანი და იასამანი. სპარსეთში მეფე კიროსის დროს შროშანი შიდა ეზოების ძირითადი მშვენება იყო. ძველი ბერძნების აზრით, ეს ყვავილი ღვთიური წარმოშობის იყო და იმედის სიმბოლოს წარმოადგენდა.

თევზები (ნეპტუნი): ტირიფი, ზაფრანა, კანაფი, ღუმფარა და ლოტოსი. იყო დრო, როცა ზაფრანას ოქროს ფასი ედო. ძველ ჩინეთში სიკვდილის დასჯის შიშით ზაფრანას იმპერატორის გარდა საღებავად ვერავინ ხმარობდა. საკვები ზაფრანა ჩვენ დროშიც ძვირად ფასობს და საკონდიტრო და კვების მრეწველობაში გამოიყენება. ზაფრანა საუცხოო სუნელი და ძვირფასი წამალია.

ღრიანკალი (პლუტონი): ნარგიზი, ძველ რომში ამ ყვითელი ყვავილებით ეგებებოდნენ ბრძოლებში გამარჯვებულებს. ჩინეთში ახალ წელს ნარგიზი ყველა სახლშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიტყვათა უცხოენოვანი ნაწილები

***ა...*** (ბერძ. ***a... an*** – სიტყვის საწყისი ნაწილი, რომელიც უარყოფას აღნიშნავს. ამორალური, ანჰიდრიდი

***ავია...*** (ლათ. ***avis*** ფრინველი) ავიამბომბი, ავიატექნიკოსი

***ავტო...*** (ბერძ. ***antos*** თვითონ) – მნიშვნელობით შეესატყვისება სიტყვებს „თავისი", „საკუთარი", „თვითონ". ავტორეფერატი

***აგრო...*** (ბერძ. ***agros*** მინდორი) აგროტექნიკა

***ამფი...*** (ბერძ. ***amphi*** ირგვლივ, ახლოს, ორივე მხრიდან ორმაგი) ამფითეატრი. ამფიბია

***ანტი...*** (ბერძ. ***anti***) – გამოხატავს რაიმე საპირისპიროს ან მტრულს. ანტიბიოტიკი ანტიფაშისტი

***ანთროპო...*** (ბერძ. ***anthropos*** ადამიანი) ანთროპოლოგია

***არქეო...*** ( ბერძ. ***arhaios*** ძველი) არქეოლოგია

***არქი...*** (ბერძ. უფროსი, მთავარი) არქიპელაგი, არქიეპისკოპოსი

***ასტრო...*** (ბერძ. ***astron*** ვარსკვლავი) ასტრონავტი, ასტრონომია

***აცეტ...*** (ლათ. ***acetum*** ძმარი) აცეტონი

***აერო...*** (ბერძ. ***aer*** ჰაერი) აეროზოლი, აეროპლანი

***ბარო...*** (ბერძ. ***baros*** სიმძიმე) – მნიშვნელობით შეესაბამება სიტყვას „წნევა". ბარომეტრი

***ბი...*** (ლათ. ***bi...*** ორიანი... ***bis*** ორჯერ) ორი ნაწილისაგან შემდგარი, ორი ნიშნის მქონე ბიატლონი

***ბიბლიო...*** (ბერძ. ***biblion*** წიგნი) ბიბლიოთეკარი, ბიბლიოფილი

***ბიო...*** (ბერძ. ***bios*** სიცოცხლე) ბიოგრაფია, ბიოსფერა

***ვიბრო...*** (ლათ. ***vibrare*** კანკალი, რყევა) ვიბრომეტრი

***ვიდეო...*** (ლათ. ***video*** ვხედავ) ვიდეოტელეფონი

***ვიცე...*** (ლათ. ***vice*** სანაცვლოდ, მაგიერ) – მნიშვნელობით შეესაბამება სიტყვებს „მოადგილე", „თანაშემწე". ვიცეპრეზიდენტი

***გასტრო...*** (ბერძ. ***gaster*** მუცელი, კუჭი) გასტრონომი

***გრაფო...*** (ბერძ. ***grapho*** ვწერ) გრაფოლოგია

***დე...*** (ლათ. ***de...***) – ნიშნავს მოშორებას, გაუქმებას, მოძრაობას ქვევით, დაშვებას. დემობილიზაცია. დეგრადაცია

***დეზ...*** (ფრ. ***des...***) – ნიშნავს განადგურებას, რაიმეს მოშორებას ან არსებობას. დეზაქტივაცია

***დეკა...*** (ბერძ. ***deka*** ათი) დეკადა

დერმატო... (ბერძ. ***derma*** კანი) დერმატიტი

***ექსტრა...*** (ლათ. ***extra*** მეტისმეტად) ექსტრაორდინარული

***ზოო...*** (ბერძ. ***zoon*** ცხოველი) ზოოპარკი

***იხტიო...*** (ბერძ. ***ichtys*** თევზი) იქთიოლი

***კარდიო...*** (ბერძ. ***kardia*** გული) კარდიოლოგია

***კრიპტო...*** (ბერძ. ***kryptos*** საიდუმლო, ფარული) კრიპტოგრამა

***მეგა...*** (ბერძ. ***megas*** დიდი) მეგაფონი

***მელო...*** (ბერძ. ***mtlos*** სიმღერა) მელომანია

***მიკრო...*** (ბერძ. ***mikros*** მცირე ) მიკროფილმი

***მონო...*** (ბერძ. ***monos*** ერთი, ერთიანი, ერთადერთი) მონოგრამა

***ნეო...*** (ბერძ. ***neos*** ახალი) ნეოლოგიზმი

პალეო... (ბერძ. ***palaios*** ძველი) პალეოტიპი

***პოლი...*** (ბერძ. ***poly*** ბევრი) პოლიგრაფია

***ფსიქო...*** (ბერძ. ***psyche*** სული) ფსიქიატრია

***სტერეო...*** (ბერძ. ***stereos*** მტკიცე, სივრცობრივი) სტერეოტიპი

***სუპერ...*** (ლათ. ***super*** ზევიდან, მთავარე, უმაღლესი) სუპერმენი

***ტელე...*** (ბერძ. ***tele*** შორს) ტელეობიექტივი

***ულტრა...*** (ლათ. ***ultra*** უფრო, ზე, მეტისმეტი) ულტრამოდური

***ფოტო...*** (ბერძ. ***phos*** სინათლე) ფოტოგრაფია

***ჰიდრო...*** (ბერძ. ***hydor*** წყალი) ჰიდროლოგია

# ზაზა სამჭკუაშვილის ფათერაკიანი თავგადასავალი

## კომიქსი

მხატვარი
ნინო ორჯონიკიძე




ევრიკა!




???



მაიმუნების უჩვეულო ფესტივალი გაიმართა ტაილანდის პროვინცია ლოპბურიში, რომელიც ბანგკოკის ჩრდილოეთით მდებარეობს. ფესტივალი სასტუმროთა მფლობელებმა მოაწყვეს ტურისტების მოსაზიდად, ამასთან ადგილიც დიდებული შეარჩიეს — უძველესი ბუდისტური ტაძრის პან სამ იოდისწინა მოედანი. მაიმუნებს კი არც მათი ერთად შეყრის მიზანი აინტერესებთ, და არც ამ იდეის ავტორის ვინაობა. მათთვის მთავარია საჭმელ-სასმელი, ასე რომ დაუნჯაგებიათ ფესტივალის ორგანიზატორებს. ფესტივალის მონაწილე მაიმუნებს თავზე საყრელად აქვთ ბანანი, ფორთოხალი, ყურძენი, საზამთრო, დასაყოლებლად კი — პეპსი კოლა.



# სიცილის გაკვეთილი

აბა ვინ მეტყვის, რატომ უნდა გვქონდეს ხოლმე ბინა მუდამ დალაგებული და დასუფთავებული? —ჰკითხა მასწავლებელმა ბავშვებს.

— იმიტომ რომ ყოველ წუთას სტუმრიანობაა მოსალოდნელი. —– მიუგო იუტამ.

***

არითმეტიკის მასწავლებელს უნდოდა ცხოვრებისეული მაგალითი მოეყვანა და ოტოს ჰკითხა:

— დავუშვათ, მამაშენმა დედაშენს ორმოცდაათი მარკა მისცა, ოცი უკანვე გამოართვა, რა მოქმედება ხდება ამ დროს?

— ლანძღვა და აყალმაყალი, — ბატონო მასწავლებელო.

***

—– ფრიც, ჯიბეში რომ თორმეტი პფენინგი გქონდეს და სამი დაკარგო, რა გექნება ჯიბეში? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— ნახვრეტი, — მიუგო ბიჭმა.

***

არნოლდი საგუშაგოზე მდგომ პოლიციელთან მივიდა და ჰკითხა:

— ბატონო პოლიციელო, არ გინახავთ მამა პატარა ბიჭის გარეშე? მერე ცრემლები წასკდა და დასძინა: — ის პატარა ბიჭი მე ვარ!

***

მასწავლებელს უნდოდა მოსწავლეებისათვის ვარდსა და იას შორის განსხვავება აეხსნა და ასეთი მაგალითი მოიყვანა:



— წარმოიდგინეთ ლამაზი გარეგნობის საუცხოოდ ჩაცმული ქალი, რომელიც ქედმაღლურად მიაბიჯებს ქუჩაში და არავის ესალმება — აი, სე გამოიყურება ვარდი. უკან მას მიჰყვება თაემდაბალი და თავდახრილი არსება...

— ვიცი, ვიცი, — წამოხტა პატარა კლარა, — ეს თქვენი ქმარია.

***

მასწავლებელი: ტომ, მაგიდაზე ოთხი ბუზია, ერთი მოკალი, რამდენი დარჩა?

ტომი: ერთი, მასწავლებელო, — მკვდარი ბუზი.

***

მე არ ვიცი რა მოუვიდა ამ საათს, — უთხრა მამამ დედას — აუცილებლად უნდა წავიღო გასაწმენდად მესაათესთან.

— ოჰ, არა, მამა, რად უნდა გაწმენდა სუფთაა, ამ დილით ვაბანავე, — უპასუხა პატარა მარიამ.

***

მასწავლებელი: რა ემართება ოქროს, როდესაც გარეთ, ჰაერზე დებენ?

მოსწავლე: იპარავენ.

***

— შეხედე, დედა, როგორა ჰგავს ეს ძაღლი ძია პოლს!

— ო! მარი, როგორ შეიძლება ამგვარი რამის თქმა?!

— რატომაც არა? შენ გგონია, რომ ძაღლს რაიმე ესმის?

***

სკოლაში, ეზოს ერთ კუთხეში განცალკევებით დგას პატარა ბიჭი.

— რას აკეთებ მანდ? არ გინდა ჩვენთან ითამაშო?

— უთხრეს ამხანაგებმა.

— არა, როცა ვთამაშობ, დასვენება მალე მთავრდება, — უპასუხა ბიჭმა.



# დიდი და პატარა ვარსკვლავები

## სტეფანე მღებრიშვილი



სტეფანე მღებრიშვილი დაიბადა 1989 წლის 3 აგვისტოს. ჰოროსკოპით ლომია და, როგორც თავად ამბობს, ლომისა ბევრი თვისება აქვს – დადებითიც და უარყოფითიც. ბავშვობაში ექიმობაზე ოცნებობდა, მოგვიანებით გულმა მსახიობობისაკენ გაუწია, თეატრალურ ინსტიტუტში მოინდომა ჩაბარება, მაგრამ ისე მოხდა, რომ სკოლის შემდეგ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა, საბოლოო ჯამში კი მომღერალი და კომპოზიტორი დადგა. მშობლებმა არჩევანი არ მოუწონეს, ოჯახში არ უნდოდათ, რომ სტეფანე მომღერალი გამხდარიყო.

პირველად აუდიტორიის წინაშე საკუთარი სიმღერით 1993 წელს წარდგა, როცა 14 წლის იყო. სტეფანე დღესაც მხოლოდ საკუთარ სიმღერებს ასრულებს, თუმცა განზრახული აქვს ამიერიდან სხვისი ნაწარმოებებიც შეასრულოს. ჩაწერამდე ყოველ ახალ სიმღერას მეგობრებს ასმენინებს და თუ მათ აზრს მართებულად მიიჩნევს, აუცილებლად ითვალისწინებს. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სიმღერა „წავიდეთ“ სტეფანემ საკუთარ თავს მიუძღვნა. „მინდა იმ გარემოდან წავიდე, რაც მთელ მსოფლიოშია, მაგრამ სად წახვალ, სხვა გალაქტიკაში ხომ ვერ გადახვალ. უბრალოდ, ამ წასვლით ისევ საკუთარ თავში ვიკეტები. არ მინდა ჩემი პრობლემებით სხვა შევაწუხო“... – ასე ხსნის მომღერალი ამ სიმღერის არსს.

გარდა სიმღერისა, ძალიან უყვარს ფოტოხელოვნება, თუმცა ამ გატაცების რეალიზებას მოუცლელობის გამო ჯერჯერობით ვერ ახერხებს, სამომავლოდ კი საკუთარი სტუდიის მოწყობა აქვს ჩაფიქრებული და მაშინ ალბათ, მისი სახით საინტერესო ფოტოხელოვანს ვიხილავთ.

ჩაცმით, სპორტულად იცვამს, ყველაზე მეტად ეს სტილი მოსწონს, განსაკუთრებით – ჯინსი. უყვარს ყველა გემრიელი საჭმელი, თევზისა და ღორის ხორცის გარდა.

მიუხედავად იმისა, რომ სტეფანეს ძალიან მოსწონს და უყვარს თავისი საქმე, როგორც თვითონ ამბობს, არ უნდა, რომ მისი მომავალი შვილი მომღერალი გახდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ძალზე ბევრი სირთულე შეხვდა გზაზე: „თუ ბიჭი მეყოლება, ვისურვებდი, სპორტსმენი გამოვიდეს. თუ გოგო, ისეთი პროფესია აირჩიოს, რომ ასეთი მოუსვენარი ცხოვრება არ ჰქონდეს“.

სიმღერის „წავიდეთ“ ახლახან გადაღებული კლიპი იანვარში აჩვენეს ტელევიზიით. სტეფანე მეორე სიმღერის კლიპზეც ამთავრებს მუშაობას, მას მოგვიანებით, ზამთრის მიწურულს აჩვენებენ.

სტეფანე მღებრიშვილს სოლო კონცერტის გამართვაც აქვს ჩაფიქრებული, მაგრამ ეს მოგვიანებით, როცა საამისო ფული გაუჩნდება. ჯერჯერობით კი ისე უსმინეთ სტეფანეს – რადიოთი, ჯგუფურ კონცერტებზე, საღამოებზე. სტეფანე კვლავაც სიამოვნებით იმღერებს თქვენთვის.

# იწილო-ბიწილო





ჩაწერეთ უჯრედებში საქართველოს მდინარეთა სახელწოდებები ისე, რომ მუქ უჯრებში მიიღოთ იმ თვის სახელწოდება, რომელსაც ჩვენი წინაპრები გიორგობისთვეს ეძახდნენ.

*თარაზულად:* 1. ქალაქი კორეაში. 3. ქალაქი ინდოეთის ჩრ.დასავლეთ ნაწილში. 8. „უნგრული რაფსოდიის“ ავტორი. 11. გემთმშენებლობის ცენტრი გერმანიაში. 14. ძველებური ფრანგული სიგრძის ერთეული. 17. შინაური ცხოველი. 19. ბულგარეთის ქალაქი – კურორტი შავ ზღვაზე. 20. ხმის გადასაცემი საშუალება. 22. ზმნა. 23. ქალაქი აფრიკაში, მდ.თეთრი ნილოსის ერთ-ერთ შენაკადზე. 24. ფრანგი ფიზიკოსი. 25. რუსული ცირკის გამოჩენილი მსახიობი. 28. რუსი საბავშვო მწერალი. 29. შავი მეტალურგიის ნედლეული. 30. გერმანელი ფიზიკოსი. 31. დროის განმსაზღვრელი ხელსაწყო. 32. ბგერის აღმნიშვნელი წერილობით. 31. ელექტრული მანქანის ნაწილი. 36. წონის ძალის ერთეული. 40. ქიმიური ნაერთი. 42. მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსანი ძველ რუსეთში. 43. სახლის წინ მდებარე ტერიტორია. 44. ქალაქი დასავლეთ საქართველოში. 45. „ვეფხისტყაოსნის“ გმირი. 47. უარყოფითი თვისება, ანუ? 49. კურორტი შავ ზღვაზე. 50. იარა, ანუ? 53. ტყვიაწამლის ჩასაყრელი.

*შვეულად:* 1. რისიმე ჩამონათვალი. 2. ტროპიკული მცენარე, რომელსაც იყენებენ საღებავის დასამზადებლად 4. ცხოველის სხეულის ნაწილი. 5. ქალის სახელი. 6. ვითარების გარემოება. 7. ჭურჭელი. 10. ხის ხელოსანი, ანუ? 12. სასწავლო ინვენტარი. 13. მიწის დასამუშავებელი იარაღი. 14. რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე. 15. ქიმიური ელემენტი. 16. მექანიკის ნაწილი. 18. განთიადი, ანუ? 21. შინაგანი ბიძგი, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას; 22. ნივთიერების კონცენტრაციის თავისთავადი გათანაბრება. 26. წვადი გაზები ან ორთქლი, ანუ? 27. ჩვენი გალაქტიკის ყველაზე დიდი ვარსკვლავი. 33. ქალაქი საბერძნეთში. 35. უკაცრიელი, გაუვერანებული, ანუ?.. 37. სმენის ორგანო. 39. ვულკანი სიცილიაზე. 41. კუნძული მალაგის არქიპელაგზე. 45. ღვინის ჭურჭელი. 46. უცნობი სიდიდის აღმნიშვნელი მათემატიკაში. 48. მცენარე. 49. საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი რაიონი. 51. კავშირი. 52. კომში ანუ...

## გამოიცანი

აკვარიუმში პატარა თევზებთან ერთად დიდი მტაცებელი თევზი აღმოჩნდა, რომელმაც ერთი თევზის გადასანსვლა მოასწრო. შეადარეთ ორი ნახატი და გამოიცანით აკვარიუმის რომელი ბინადარი აღმოჩნდა ხარბი თანამოძმის სტომაქში. და კიდევ – პირველ ნახატზე ერთი ჯიშის ორ-ორი თევზია, დათვალეთ ასეთი წყვილები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალენდარი

## იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ხუთ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბ. | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვ. | 7 | 14 | 21 | 28 | |

## თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთ. | 1 | 8 | 15 | 22 | |
| პარ. | 2 | 9 | 16 | 23 | |
| შაბ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| კვ. | 4 | 11 | 18 | 25 | |

## მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| კვ. | 4 | 11 | 18 | 25 | |

## აპრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამ. | | 3 | 10 | 17 | 24 | |
| ოთხ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

## მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ოთხ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხუთ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| პარ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვ. | 6 | 13 | 20 | 27 | |

## ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შაბ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კვ. | 3 | 10 | 17 | 24 | |

## ივლისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამ. | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ოთხ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

## აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პარ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| შაბ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვ. | 5 | 12 | 19 | 26 | |

## სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 3 | 10 | 17 | 24 |
| სამ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| ოთხ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ხუთ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| პარ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| შაბ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| კვ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |

## ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ხუთ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბ. | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვ. | 7 | 14 | 21 | 28 | |

## ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| კვ. | 4 | 11 | 18 | 25 | |

## დეკემბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| სამ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ოთხ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| ხუთ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| პარ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| შაბ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |
| კვ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | |

# ნაკადული 2001